საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 8 მაისი. 2023 წ. №51 (9583) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქიოლებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადისიბაგზე ესაძაგლესია.

პატარა ქვეყნის პრემიერის ტრიუმფი დიდ უნგრეთში

უფესვებო ადამიანის მართვა ადვილია!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე (CPAC)

გატონო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო სტუმრებო, ქალბატონებო და გატონებო,

ჩემთვის დიდი პრივილეგიაა უნგრეთში, ევროპის ნამდვილ გულში და მის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში, მის მომხიბვლელ დედაქალაქ ბუდაპეშტში ყოფნა. თქვენთან ერთად ვიზიარებ აღფრთოვანებას მისი მდიდარი ისტორიით, იმ ბრძოლით, რასაც უნგრეთი საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა ევროპისა და თავისუფალი სამყაროს დასაცავად არაერთი მტრისაგან.

მომავალ წელს 50 წელი სრულდება პირველი კონსერვატიული კონფერენციიდან, რომელზეც პირველი მისასალმებელი სიტყვა ლეგენდარულმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა წარმოთქვა. უკვე ნახევარი საუკუნეა ამერიკული კონსერვატიული კავშირის მიერ ინიციირებული მოძრაობა იბრძვის მსოფლიოში ტრადიციული, უზენაესი ფასეულობების განმტკიცებისათვის. ბუნებრივია, ჩემთვის ძალზე ამაღელვებელი იყო ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმზე მოწვევა. ამ შესაძლებლობისთვის დიდ მადლობას ვუხდი კონფერენციის ხელმძღვანელებს და ორგანიზატორებს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ძვირფას მეგობარს, პრემიერ ორბანს; უნგრელ ხალხს ძალიან გაუმართლა, რომ ამ რთულ ეპოქაში ასეთი ბრძენი და შორსმჭვრეტელი ეროვნული ლიდერი ჰყავს, რომელიც იცავს საკუთარი მამაცი ერისა და უნგრეთის ინტერესებს, ფუნდამენტური ღირებულებების სადარაჯოზე დგას და ნამდვილად სამაგალითო პოლიტიკოსი, მებრძოლი ქრისტიანი კაცია.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა თანამედროვე, ურთულესი გამოწვევებით აღსავსე ეპოქაში დავადასტუროთ, რომ ერთად ვდგავართ, და იმ ფასეულობებზე ვისაუბროთ, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ერთობას.

იხ. 2 გვ.

ბიძინას მილიარდები და კიდევ ერთხელ გასაჭყლეტი საქართველოს ხვალინდელი დღე...

ივანიშვილის დასანქცირების მიზანს საქართველოს ხელისუფლების ჩამოშლა წარმოადგენს!

იხ. 4 გვ.

ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე, ბოლო დროს გააქტიურებულ საუბრებს, ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე რეალურს უწოდებს. ის FOR.GE-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ ფაქტობრივად, ივანიშვილი არაოფიციალური სანქციების პირობებშია, ხოლო იმისთვის, რომ ამას ოფიციალური სახე მიეცეს, მთელი საინფორმაციო პროპაგანდაა ჩართული. ამაზე მუშაობენ, როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში. ისინი აშშ-ის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ამაზრზენ ტყუილებს წვეთ-წვეთად აწვდიან. შესაბამისად, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ, აღრე თუ გვიან, ამერიკელები ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ერეკლე გამყრელიძე ქართული გეოლოგიის ტიტანი 90

5

უძველესი ქართული ქაგლების სავალალო მდგომარეობა აფხაზეთში

იხ. 8 გვ.

„ქართული დიპლომატიის ისტორია“

ივანე ჯავახიშვილის სადაგი დღეები

იხ. 7 გვ.

უფესვებო ადამიანის მართვა ადვილია!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე (CPAC)

(პირველი გვერდიდან) სულ რამდენიმე დღეში მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 78 წლისთავს აღვნიშნავთ. თითქმის რვა ათწლეული გავიდა ისტორიაში ყველაზე დიდი ბოროტების, ფაშიზმის დამარცხებიდან. მას შემდეგ განვლილ დროში მთლიანად კაცობრიობამ, ჩვენმა ქვეყნებმა და ხალხებმა არაერთი რთული პერიოდი გამოიარეს.

ჩვენ, ისევე როგორც სხვა ერებმა, გამოვიარეთ თავისუფლებისთვის ბრძოლის, სამოქალაქო ომების, ოკუპაციის, ეკონომიკური კოლაფსის, ავტოკრატიული რეჟიმის რთული პერიოდები. ასე რომ, ჩვენთვის უცხო არ არის გამოწვევები. მაგრამ ის, რაც მთელ მსოფლიოში ბოლო წლების განმავლობაში ხდება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიაში ალბათ ყველაზე დრამატული მოვლენებია. პანდემიით გამოწვეული რთული ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა ევროპის კონტინენტზე მიმდინარე მასშტაბურმა სამხედრო კონფლიქტმა.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში სათავე დაუდო ხანგრძლივ ომს, რომლის დასასრულიც არ ჩანს, რომელიც ყველას გვეხება. გაუმართლებელი ადამიანური მსხვერპლის, სასტიკი ნგრევის შეჩერება უდიდეს საერთო ძალისხმევას მოითხოვს. დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ყველა ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის მიზანი და ამოცანა მშვიდობის უზრუნველყოფაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. ვგულშემატკივროგთ რა უკრაინას, უფრო მეტი უნდა ვიშრომოთ სამშვიდობო მოლაპარაკებების, ხანგრძლივი და სტაბილური მშვიდობის პირობების შესაქმნელად.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავიტანეთ მძიმე ომი რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში; ჩვენმა ქვეყანამ ამ ომში დიდი ადამიანური მსხვერპლი გაიღო; ჩვენი ტერიტორიების 20% კვლავ ოკუპირებულია რუსეთის მიერ;

ქართველებმა კარგად ვიცით მშვიდობის ფასი. ქართველები მცირე, მაგრამ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე ერია. როდესაც საჭიროა, ჩვენ თავდადებით ვიბრძვით თავისუფლების, საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად. მთელ ჩვენს ისტორიაზე რომ არ ვილაპარაკოთ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ჩვენ გადავიტანეთ არაერთი ომი ჩვენს ქვეყანაში; ბოლო წლებში ჩვენი მამაცი პარისკაცები ნატოს ალიანსის წევრ ქვეყნებთან ერთად იცავდნენ ბლოგალურ უსაფრთხოებას. ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ერთ სულ მოსახლეზე გათვლით ჩვენ ყველაზე მეტი პარისკაცით ვიყავით წარმოდგენილი; 32 ქართველი გმირი პარისკაცი დაიღუპა ამ ბრძოლაში, ასეულობით კი – დაშავდა.

ასე რომ, ვიცით რა, რა მოაქვს ომს, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მშვიდობისთვის. იესო ქრისტე ამბობს სახარებაში: ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან. ამ ურთულეს დროში, მიუხედავად არაერთი პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის მცდელობისა, ჩვენ შევძელით მშვიდობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ისტორიაში, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისას პირველად გვაქვს ხანგრძლივი და უწყვეტი მშვიდობა საქართველოში.

უდავო ფაქტია, რომ დღეს გლობალური წესრიგი იცვლება. მსოფლიო ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. ამ რთული ვითარებიდან ვერავინ შეძლებს, მარტომ იპოვოს გამოსავალი. საჭიროა ერთიანობა, გლობალური თანამშრომლობა ახალი, უფრო სამართლიანი წესრიგისათვის. მხოლოდ ერთად დგომით შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას.

მაგრამ რა გვაძლევს ძალას ამ ერთიანობისთვის? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ის ტრადიციული, უზენაესი, მარადიული, უნივერსალური ფასეულობები, რომელიც განსაზღვრავს მთელ ჩვენს ისტორიას და კულტურას, ჩვენს ყოველდღიურობას. ეს ფასეულობები მარტივად გამოითქმის – ეს არის რწმენა, თავისუფლება, მშვიდობა, ღირსება, სიმართლე, თანასწორობა, ოჯახის სიწმინდე, მშობლების, წინაპრების, ტრადიციების პატივისცემა, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული, უკეთესი მომავლის იმედი. ყველაფერი, რაც შეიძლება შევაჯამოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის, ბრძენი და ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული ადამიანის მიერ შემოთავაზებულ პოსტულატებში – **ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.**

საქართველოს მთელი ისტორია სწორედ ამ ფასეულობებს ეფუძნება. არსებითად, ეს ფასეულობები ერთ წიგნში – სახარებაშია თავმოყრილი. ალგათ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც, ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა. დაახლოებით იმავე დროს, მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად ითარგმნა სახარება; თუმცა ქრისტიანობის ქადაგება ჩვენთან გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ქრისტეს პირველმა მოციქულებმა დაიწყეს. დიახ, ორი ათასი წელია მთელ ჩვენს ისტორიას და კულტურას სწორედ სახარების ფასეულობები განსაზღვრავს. ეს ფასეულობები ყოველთვის საფუძვლად ედო ქართულ იდენტობას, აერთიანებდა ჩვენს ხალხს. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ უძველესი, მაგრამ პატარა, რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, იმპერიებისა და ცივილიზაციების შეჯახების ეპიცენტრში მდებარე ქვეყანა გადაურჩა ისტორიის იმ ქარტეხილებს, რომლებმაც არაერთი დიდი და ძლევამოსილი იმპერია გაანადგურა.

რასაკვირველია, ტრადიციების ერთგულება არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ განახლებაზე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბოროტება ხშირად სწორედ განახლების სახელით მოდის. ასე იყო ფაშიზმის შემთხვევაშიც, და არაერთხელ მთელს ისტორიაში. ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, რომ თავისუფლებას ცრუ თავისუფლების სახელით ებრძვიან. დიახ, ეს ნამდვილად ასეა. არავინ ებრძვის თავისუფლებას მონობის სახელით, არამედ – ცრუ თავისუფლების; არავინ უპირისპირდება სიმართლეს სიცრუის სახელით, არამედ – ყალბი სიმართლის სახელით;

როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავსმოხვევით – ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის – მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ეგრეთწოდებული „სიახლეების“ იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს. ასეთი ადამიანის მართვა – ვინც დაივიწყა საკუთარი ისტორია, რწმენა – უფესვებო ადამიანის მართვა ადვილია.

ამიტომაც, ასეთ რთულ დროში ჩვენი უმთავრესი იარაღი და დასაყრდენი სწორედ ტრადიციული, ქრისტიანული, ოჯახური, კონსერვატიული ფასეულობებია. დღესაც, დრამატულ განახლებათა – ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარების, ინდუსტრიული ზრდის, ურბანიზაციის, სოციალურ ცვლილებათა და გლობალიზაციის ეპოქაში, ჩვენ კვლავ, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი, გვჭირდება მორალური ორიენტირები, რომელთაც სწორედ ჩვენი ტრადიციები და ფასეულობები გვთავაზობს. სწორედ განახლების, განვითარების, არსებითი წინსვლის სურვილი მოითხოვს, რომ ყველა ახალ დაპირებას მკაფიო, დროში გამოცდილი კრიტერიუმების, ისტორიული ფასეულობების შუქზე შევხედოთ.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ვინმესადმი დაპირისპირებას. ჩვენ ვამბობთ მარტივ რამეს – არავის ინტერესები არ უნდა შეიზღუდოს სხვათა ინტერესების გამო.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი თითოეული მოქალაქის უფლებებს და ამას საქმით ვამტკიცებთ.

2014 წელს, ერთი მხრივ, ევროპავშირის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესაგამისად, მაგრამ ასევე, საკუთარი მოქალაქეების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობით, ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც განუხრელად იცავს თითოეული მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

მაგრამ ჩვენ ასევე ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი ქალსა და მამაკაცს შორის ერთობაა, დედა ქალია, მამა კი – კაცი. იმ ადამიანების, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის უფლებებს, ვინც მხარი დაუჭირა ჩემს 2014 წლის ინიციატივას, რომლის შედეგადაც ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ მოგვიანებით კონსტიტუციაში შეიტანა ქორწინების, როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის დეფინიცია.

ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა ტრადიციულ, კონსერვატიულ, ოჯახურ ღირებულებებს იზიარებს. ეს ფასეულობები მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობა არ არის, იგი ცოცხალი დღევანდელობაა, გარემო, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და გვსურს, ჩვენი შვილები აღვზარდოთ. მე ოთხი შვილის მამა გახლავართ და ქართველი მშობლების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მსურს ჩვენი მომავალი თაობები ქრისტიანობაზე დაფუძნებულ უნიკალურ ღირებულებებზე აღიზარდონ; ისე, როგორც ჩვენ აღგვზარდეს ჩვენმა მშობლებმა.

ამიტომ, ჩვენ დავიცავთ ყველას უფლებებს, მაგრამ როგორც არ დავუშვებთ უმცირესობის წარმომადგენლებზე ძალადობას, ისევე არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე. მხარს არ დავუჭერთ უმცირესობის მცდელობას, აგრესიული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია, რომელსაც ქართველის იდენტობა, თვითმყოფადობა, მთელი ჩვენი ისტორია ეფუძნება.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიით. ვამაყობთ რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში საქართველოს მართავდა თამარი, თამარ მეფე – კეთილგონიერებითა და სიბრძნით გამორჩეული ქალი, რომელიც არა დედოფლად, არამედ მეფედ იწოდებოდა. სწორედ მისი მმართველობის დროს გაჩნდა მსოფლიოში პარლამენტის ერთ-ერთი პირველი ჩანასახი;

ამიტომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკა იყო ის ქვეყანა, რომელმაც თანამედროვე დემოკრატიას ჩაუყარა საფუძველი; 1921 წლის კონსტიტუციამ, იმ დროისათვის ერთ-ერთმა ყველაზე პროგრესულმა სამართლებრივმა დოკუმენტმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა, ხმის უფლება მიანიჭა ქალებს, უზრუნველყო ეროვნული უმცირესობების უფლებები. ასე რომ, თანასწორობა, სხვისი ღირსების პატივისცემა ჩვენი ტრადიციებია.

ამავე დროს, იმ პერიოდში, როდესაც ყველაფერი ეროვნული იდევნებოდა, ილია ჭავჭავაძემ, დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთმა უმთავრესმა შემოქმედმა, რომელსაც ქართველები ერის მამას ვუწოდებთ, გამოკვეთა თითოეული ქართველისათვის უმთავრესი ფასეულობები – მამული, ენა, სარწმუნოება.

ჩვენი დღევანდელი კონსტიტუცია სწორედ ამ მემკვიდრეობას, ამ მონაპოვარს ეფუძნება; იგი იცავს და უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის უფლებებს და, ამავე დროს, აღიარებს რა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, მის განვითარებაში – განამტკიცებს უზენაეს და მარადიულ ფასეულობებს.

ნება მომეცით, მკაფიოდ განვმარტო: დიახ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია; მაგრამ ჩვენი კათოლიკეები, მუსლიმები, ებრაელები ჩვენს წინაპრებთან ერთად ქმნიდნენ ჩვენს დიდ ისტორიას და ქმნიან მის დღევანდელობას. ჩვენთვის ძალზე ძვირფასია მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის ეს ისტორია. ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩვენი უდიდესი მეფე, დავით აღმაშენებელი რელიგიურ დღესასწაულებზე მეჩეთში სტუმრობდა მუსლიმებს პატივისცემის გამოსახატად. სხვათა შორის, საქართველო უნიკალური ქვეყანაა იმითაც, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი, შიიტი და სუნიტი მუსლიმები დღესაც ერთსა და იმავე მეჩეთში ლოცულობენ.

ისტორიულ ძველ თბილისში ერთმანეთის გვერდით არის მართლმადიდებლური ტაძარი, სომხური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტოლერანტობაზე მიანიშნებს.

ვიქტორ ორბანი:

ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ, როგორ უნდა მოახერხოს პატარა ქვეყანამ რუსეთის ჩრდილში ცხოვრება ისე, რომ შეინარჩუნოს საკუთარი ქვეყნის ღირებულებები“

პატარა ქვეყნის პრემიერის ტრიუმფი დიდ უნგრეთში

როგორც ვიცით, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობებისა და სამომავლო თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებში – ირაკლი ღარიბაშვილი უნგრელ კოლეგას, ვიქტორ ორბანს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ასევე, განხილვის მთავარი თემა იყო საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა.

აღინიშნა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით უნგრეთის მხარდამჭერი განცხადებების მნიშვნელობა. უნგრელ კოლეგასთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია და მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, საქართველო კანდიდატის სტატუსს იმსახურებს, რომელსაც ქვეყანა წლის ბოლოსათვის ელოდება.

პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაში (CPAC). მთავრობის მეთაურმა კონფერენციაზე რამდენიმე გზავნილი გაახმოვანა, რომელთა უმრავლესობა არაერთი ქვეყნისთვის საერთო ღირებულებებს წარმოადგენს. ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია. პრემიერმა საერთაშორისო ტრიბუნიდან აღნიშნა, რომ საქართველოს ადგილი ევროპაშია და საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს.

„ჩვენი ხელისუფლების შრომის მონაპოვარია ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, დღეს უკვე – ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭება. დღეს ჩვენ ევროპისგან ველით შორსმჭვრეტელ და სამართლიან გადაწყვეტილებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. ეს ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანი ძალისხმევის დამსახურებული აღიარება იქნება. კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, საქართველოს ადგილი ევროპაშია, საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს“...

როგორც პრემიერმა აღნიშნა, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში სათავე დაუდო ხანგრძლივ ომს, რომლის დასასრულიც არ ჩანს და რომელიც ყველას ეხება. დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ყველას მიზანი და ამოცანაა მშვიდობის უზრუნველყოფა.

„დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ყველა ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის მიზანი და ამოცანა – მშვიდობის უზრუნველყოფაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. ვგულშემატკივრობთ რა უკრაინას, უფრო მეტი უნდა ვიშრომოთ სამშვიდობო მოლაპარაკებების, ხანგრძლივი და სტაბილური მშვიდობის პირობების შესაქმნელად. თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავიტანეთ მძიმე ომი რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში, ჩვენმა ქვეყანამ ამ ომში დიდი ადამიანური მსხვერპლი გაიღო, ჩვენი ტერიტორიების 20% კვლავ ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ქართველებმა კარგად ვიცით მშვიდობის ფასი. ქართველები მცირე, მაგრამ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე ერია, როდესაც საჭიროა, ჩვენ თავდადებით ვიბრძვით თავისუფლების, საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად.

ამ ურთულეს დროში, მიუხედავად არაერთი პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის მცდელობისა, ჩვენ შევძელით მშვიდობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ისტორიაში, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისას პირველად გვაქვს ხანგრძლივი და უწყვეტი მშვიდობა საქართველოში. ის, რაც მთელ მსოფლიოში ბოლო წლების განმავლობაში ხდება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიაში, ალბათ, ყველაზე დრამატული მოვლენებია“...

> **ქართველები მცირე, მაგრამ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე ერია, მაგრამ როდესაც საჭიროა, ჩვენ თავდადებით ვიბრძვით თავისუფლების, საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად.**
>
> **ირაკლი ღარიბაშვილი**

კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა აღნიშნა, რომ შეუძლიათ ისწავლონ ირაკლი ღარიბაშვილისგან, როგორ უნდა მოახერხოს პატარა ქვეყანამ რუსეთის ჩრდილში ცხოვრება ისე, რომ შეინარჩუნოს საკუთარი ქვეყნის ღირებულებები.

„მე ვხედავ რამდენიმე კოლეგას დარბაზში, მე ვხედავ იმ ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებით ვაფასებ. აქ არის პრემიერ-მინისტრი საქართველოდან, ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ მისგან, როგორ უნდა მოახერხოს პატარა ქვეყანამ რუსეთის ჩრდილში ცხოვრება ისე, რომ შეინარჩუნოს საკუთარი ქვეყნის ღირებულებები. მისი ცოდნა ნამდვილად დასაფასებელია ამ მხრივ. გისურვებთ წარმატებებს“!

* * *

ირაკლი ღარიბაშვილის გზავნილებში ოპოზიციამ პრორუსული ნარატივი ამოიკითხა და აცხადებენ, რომ პრემიერის განცხადებები დაშორებული იყო ევროპული ღირებულებებისგან.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ საქართველო ევროპაში იყო, არის და იქნება, მიუხედავად იმ „ფორსმაჟორული“ პერიოდებისა, რომლებიც თვით ევროპულ ტრადიციულ და კონსერვატიულ ფასეულობებს არყევდნენ. როგორც ქართველიშვილი ამბობს, ჩვენ გვაქვს დასნეულებული ევროპისთვის მისი გამოჯანსაღებისთვის მაგალითის მიმცემი ძალა და ამ გზაზე არ ვართ მარტონი, უნგრეთით დაწყებული ევროპა ნელნელა გამოდის თავის მრავალწლიანი ფსევდოლიბერალური ლიტურგიული ძილიდან.

„საქართველოსთვის სტატუსის არმინიჭება უკვე არა საქართველოს, არამედ ევროკავშირს დააზარალებს, რადგან ჩვენს ქვეყანას აქვს რესურსი, რომ დასნეულებულ ევროპას მისცეს გამოჯანსაღებისთვის საჭირო ძალა. ჩვენ მზად ვართ, ჩვენი ტრადიციული საბაზისო ფასეულობების არა განიავება და დახურდავება, არამედ ექსპორტი მოვახდინოთ ევროპაში, რომლის სრულფასოვანი წევრი მხოლოდ ამ ფასეულობებით თუ გავხდებით. თუმცა, უკვე ამ ეტაპზე, წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება საქართველოსთვის უკვე არა ჩვენი, არამედ ევროპის სირცხვილს წარმოადგენს.

ამ ვიზიტით ღარიბაშვილი დადგა კონსერვატიული მსოფლიოს მხარეზე, როდესაც თვითონ ევროკავშირი განიცდის ფასეულობების კრიზისს. უფრო სერიოზულ ფასეულობების კრიზისს განიცდის ამერიკა. პრემიერის ტრიუმფალური გამოსვლის პირველი გზავნილია: მე, კონსერვატიული, ტრადიციული, ქრისტიანული სამყაროს ნაწილი ვარ და თქვენ გვერდში ვდგავარ. და მეორე – ეს იყო პრეზენტაცია საქართველოსი, რომელმაც ძალიან ბევრ იმპერიას და ცივილიზაციას გაასწრო, რომლებიც გაქრნენ დედამიწის ზურგიდან, მაგრამ საქართველო, სწორედ თავის ტრადიციულობაზე, ქრისტიანობაზე, საბაზისო ღირებულებებზე დაყრდნობით მოვიდა დღევანდელობამდე და პრემიერ ღარიბაშვილის გზავნილი ევროპის მიმართ იყო ის, რომ ნუ გეშინიათ, კრიზისს განიცდის ევროპა, მაგრამ ჩვენ ვართ ის უნიკალური გამოცდილება, ჩვენ ვართ ის წამალი, რომლის მიღებით და გაზიარებით შეგიძლიათ თქვენ, ანუ ევროპა დაუბრუნდეთ იმ საწყისებს, რა საწყისებმა, თავის დროზე, თქვენში დაბადა საქართველოს იმედი“, – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

რაც შეეხება ოპოზიციის ნარატივს, როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, მოსალოდნელიც იყო უსამშობლო, გენმოდიფიცირებული საზოგადოების სეგმენტის პროგნოზირებადი რეაქცია, რაც უბრალოდ სიბრალურის გრძნობას იწვევს.

„გვარით, წარმოშობით, წარმომავლობით თითქოს ქართველები არიან, მაგრამ უცხოპლანეტელებს წარმოადგენენ იმ საქართველოში, რომელიც არც მიშა სააკაშვილით დაიწყო და არც ლევან ხაბეიშვილით დამთავრდება. იმ საქართველოში, რომელიც ფარნავაზ მეფიდან და უფრო იქიდან მოდის დღევანდელობამდე და ჩვენს პატრიარქზე გადის. აი, ამ საქართველოს ნაწილს რომ ისინი არ წარმოადგენენ, ეს არის მართლა დიდი ეროვნული ტრაგედია და უნდა გვეცოდებოდეს ეს ადამიანები. ამათ ფონზე ირაკლი ღარიბაშვილი დღეს მთელი მსოფლიოს წინაშე წარდგა როგორც ღირსეული ქართველი, პატრიოტი ქართველი და მართლმადიდებელი“, – განაცხადა **დავით ქართველიშვილმა.**

თამთა ქარჩავა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, სადაც ებრაელები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდნენ, არასდროს ყოფილა მათი დევნა. ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26-საუკუნოვან ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ჩვენს ერებს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი უნიკალური მეგობრული თანაცხოვრების უდიდეს აღიარებას ნიშნავს.

ასე რომ, ტოლერანტობა ჩვენი უნიკალური ტრადიციაა და საფრთხეს წარმოადგენს არა რომელიმე რელიგია, უმცირესობა, ან განსხვავებული აზრი, არამედ ის, ვინც რწმენისა და ფასეულობების გარეშე, ცინიზმით შეიარაღებული, ხშირად სწორედ რელიგიის, დემოკრატიის, თავისუფლების სახელით – სინამდვილეში თავისუფლებასა და სიმართლეს უპირისპირდება.

საქართველოს სწორედ თავისუფლების იდეალი ამოძრავებს საუკუნეთა განმავლობაში ევროპის ერთა ოჯახის სრულფასოვან წევრად გახდომისკენ სწრაფვისას. იმ ევროპის, რომელიც სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებს ეფუძნება. ჩვენი ხელისუფლების მიერ გატარებული მასშტაბური რეფორმების შედეგად დღეს ისე ახლოს ვართ ამ მიზანთან, როგორც არასდროს. ჩვენ უდიდესი ძალისხმევა გავწიეთ კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის, ეკონომიკური წინსვლისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად; სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების გაძლიერება სამართლიანად იმსახურებს მიუკერძოებელი და ობიექტური შემფასებლების აღიარებას მთელ მსოფლიოში. ამაზე მეტყველებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

მაგალითად, World justice project-ის კანონის უზენაესობის ინდექსის 2022 წლის კვლევით საქართველო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდექსით ვუსწრებთ ნატოსა და ევროკავშირის არაერთ ქვეყანას. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსით ლიდერი ვართ რეგიონში. Heritage foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით ევროკავშირის 11 ქვეყანას ვუსწრებთ. ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის 2021 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის მსოფლიო რეიტინგში საქართველო სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით 120 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა.

ჩვენი ხელისუფლების შრომის მონაპოვარია ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმება და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, დღეს უკვე – ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა პრემიერ ორბანს ამ ძალისხმევის დაფასებისა და მუდმივი თანადგომისათვის.

დღეს ჩვენ ევროპისაგან ველით შორსმჭვრეტელ და სამართლიან გადაწყვეტილებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. ეს ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანი ძალისხმევის დამსახურებული აღიარება იქნება,

კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, საქართველოს ადგილი ევროპაშია, საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს!

* * *

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენს რთულ დროში ყველა უნდა გავერთიანდეთ. მოდით, ვაქციოთ ჩვენი ქვეყნები – მშვიდობის, სტაბილურობის და კეთილდღეობის ადგილად.

ბატონმა ორბანმა თავის დალასის გამოსვლაში იხუმრა, რომ უნგრეთი ნამდვილად არ არის სუპერძალა. საქართველოს, კიდევ უფრო პატარა ქვეყანას, მით უმეტეს, არასდროს ჰქონია ასეთი ამბიცია. მაგრამ მაინც, ჩვენ ვფლობთ სუპერძალას ეს ძალა არის რწმენა, ჩვენი ოჯახები, ტრადიციები, მარადიული და უნივერსალური ფასეულობები. სწორედ ერთიანობით ჩვენ შევძლებთ დავუპირისპირდეთ ყალბი თავისუფლების და ყალბი სიმართლის სახელით მოსულ ბოროტებას და ნამდვილი, ტრადიციული, უზენაესი, ოჯახური ღირებულებებით დავიცვათ და შევინარჩუნოთ სამყარო ჩვენი შვილებისათვის და მომავალი თაობებისათვის.

ბიძინას მილიარდები და კიდევ ერთხელ გასაჭყლეტი საქართველოს ხვალინდელი დღე...

ივანიშვილის დასანქცირების მიზანს საქართველოს ხელისუფლების ჩამოშლა წარმოადგენს

(პირველი გვერდიდან) – „ქართული ოცნების“ ლიდერები საუბრობენ იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს დე ფაქტო სანქციების ქვეშ იმყოფება და შვეიცარიის ბანკში გაყინული 2 მილიარდი დოლარი, სწორედ ფორმალური სანქციებია. ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლება ივანიშვილის ოფიციალურ დასანქცირებას ელოდება. თქვენ რა განცდა გაქვთ?“

– ზუსტად ვერ გეტყვით ხელისუფლებაში რას ელოდებიან, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, სანქციების ქვეშ იმყოფება, რადგან მას არ ეძლევა საშუალება წვდომა ჰქონდეს შვეიცარიის ბანკში არსებულ ფულზე და განკარგოს. ის სანქციები, რაც რუს მილიარდერებს და ოლიგარქებს დაადეს, როცა საზღვარგარეთ ანგარიშები გაუყინეს და თანხებზე წვდომა შეუზღუდეს, სწორედ სანქციების შედეგია. უბრალოდ, მათ ეს უკრაინის მოვლენების გამო ოფიციალურად გამოუცხადეს. ბიძინა ივანიშვილს კი რაზე უნდა მოედავონ, მისი პირდაპირ დაკავშირება უკრაინასთან ვერანაირად ვერ ხერხდება. თუმცა ევროპარლამენტარების რეზოლუციებს თუ გადავხედავთ, იქ არის ასეთი სახით ფორმულირებული, რომ ივანიშვილი დასანქცირდეს საქართველოში დემოკრატიის უკუსვლის ხელშეწყობისთვის.

უფრო მეტს გეტყვით, ახლახან საქართველოში ამერიკელი მოაზროვნე და პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა იმყოფებოდა, რომელმაც პირდაპირი მოწოდება გააკეთა, რომ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება საჭიროა. ცოტა ხნის წინ კი ორმა ცნობილმა პოლიტოლოგმა ღია წერილი გამოაქვეყნა და ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურებს მიმართა, რომ ივანიშვილი დაასანქცირონ. მანამდე კი მაიკლ მაკფოლმა, რომელიც ერმაკ მაკფოლის კომისიის წევრია და უკრაინაში სანქციებზე მომუშავე კომისიას ხელმძღვანელობს, „ვაშინგტონ პოსტში“ წერილი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოში ივანიშვილის როლზე და გავლენაზე ისაუბრა. როგორც ჩანს, ეს არის კოორდინირებული პროცესი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში ივანიშვილის დასანქცირებაზე აზრი მოამწიფონ, როგორც ეს უკვე მოსამართლეების დასანქცირების შემთხვევაში მოხდა. რეალურად კი ივანიშვილი არაფორმალურად სანქცირებულია.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად ადვილი იქნება ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება? ის ოფიციალურად პოლიტიკაში აღარ არის, ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელიც ამბობს, რომ პროცესებში არ ერევა. მტკიცებულებები ხომ ტანეთში მცხოვრები რუსი ოლიგარქები სახელმწიფო სტრუქტურების კარებს ატალახებენ თხოვნით ოღონდ სანქციები მოგვიხსენით და ამ ფულს უკრაინის განვითარებას მოვახმართო, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს. საქართველოდან ამ თემებზე ელენე ხოშტარია, ხატია დეკანოიძე მუშაობენ. უკრაინიდან დავით არახამია და ის კომისია, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. არიან ადამიანები, რომლებიც შეკვეთილ სტატიებს წერენ.

– თქვენ ივანიშვილის შესაძლო დასანქცირებას უკრაინის ომს უკავშირებთ? რატომ შეიცვალა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკა ამ ერთი წლის განმავლობაში რადიკალურად, რა არის ივანიშვილის დასანქცირების მიზანი?

– ვფიქრობ, ივანიშვილის დასანქცირების მიზანს საქართველოს ხელისუფლების ჩამოშლა წარმოადგენს. მოსამართლეების სანქცირებაც ხომ იმას ემსახურება, რომ მსოფლიოს აჩვენონ, თითქოს, „ოცნების“ მმართველობის პირობებში საქართველოს სასამართლო კორუფციაშია ჩაფლული. მეტი სხვა ბრალდება რა უნდა იყოს, თუ სასამართლო შენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს კორუფციაშია, შენ რაღა ხელისუფლება ხარ?! ასეთ დროს უკვე ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი დგება. იმიტომაც აწვება ოპოზიცია ამ საგამოძიებო კომისიის შექმნას. უნდათ ამით პოლიტიკური ხმაური შექმნან. ახლა აკვირდებიან პოლიტიკურად ეს როგორ იმოქმედებს, რა გავლენას მოახდენს. ამის შემდეგ კი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რა შემდეგი ნაბიჯი გადადგან.

მოდი, ფრჩხილები გავხსნათ და ვიკითხოთ, რაზე უნდა ესაუბრა სამი საათი კელი დეგნანს ბიძინა ივანიშვილთან?! ამერიკის ელჩი პოლიტიკიდან წასულ ჩვეულებრივ მოქალაქეს ქართულ კულტურაზე და ხელოვნების საკითხებზე არ ელაპარაკებოდა. ამერიკელები ელოდნენ, რომ ხელისუფლება იმ რეკომენდაციებს შეასრულებდა, რომელიც მათ ჰქონდათ. ჩემი ვარაუდით, რადგან „ოცნება“ ამ ყველაფერზე არ წავიდა, ამერიკელებმა ჩათვალეს, რომ დრო გავიდა და სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ.

– ივანიშვილის დასანქცირება ქვეყანაში რა პროცესებს გამოიწვევს, შესაძლოა ამან საზოგადოების ნაწილში ანტიამერიკული განწყობები გააღვივოს? 30 აპრილს ვნახეთ „რესპუბლიკის მოედანზე“ შეკრებილი ხალხი, სადაც კონკრეტული გზავნილები გახმოვანდა.

– 30 აპრილის აქციაზე შეკრებილ ხალხზე ვერ ვიტყვით, რომ პროევროპული განწყობის მქონენი არიან. კი, იქ დასავლეთის პირდაპირი ლანძღვა არ ყოფილა, მაგრამ აშკარად იყო ისეთი გზავნილები, რომ საქართველომ თავისი სუვერენიტეტი უნდა დაიცვას, ასევე არა ვართ ის ხალხი, რომელთა მართვაც შესაძლებელია. ერთ მხარეს ლიბერალური საქართველო დგას და მეორე მხარეს ტრადიციული კონსერვატორულ ღირებულებებზე მდგომი საქართველო. ეს ფასეულობითი და მსოფლმხედველობითი ჯახი მშვიდობიანად თუ არ გაგრძელდა, არაა გამორიცხული, ამან გარკვეული კონფლიქტიც წარმოშვას.

– საქართველო ევროკავშირის კანდიდატი წევრი ქვეყნის სტატუსს ელოდება. ვხედავთ, ბოლო კვირების განმავლობაში სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ლიდერები გვსტუმრობენ. როგორ ფიქრობთ, ამერიკის შეცვლილი პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ სტატუსის მიღებაზე გავლენას მოახდენს?

– ორი აზრი არ არის იმაში, რომ კანდიდატის სტატუსზე ეს პროცესი, რაც ამერიკის მხრიდან არის დაწყებული, იმოქმედებს. თუმცა, როგორც უკვე არა ერთხელ ითქვა, შეიძლება გეოპოლიტიკური ფაქტორი და კომპონენტი აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი. ევროპაშიც ფიქრობენ, რომ თუ საქართველოს უარი კიდევ ერთხელ უთხრეს, ამან შესაძლოა ევროსკეპტიკური განწყობები კიდევ უფრო გააძლიეროს. იმის იმედზე ყოფნა, რომ ახლა ხალხი გამოვა და ხელისუფლებას დაამხობს, არასწორია. ან დაამხობს და ან ვერა. გრძელვადიან პერსპექტივაში ამან შესაძლოა ის გამოიწვიოს, რომ საქართველო ასოცირების ტრიოდან იყოს ამოვარდნილი. არსებობს რისკი, რომ მათი პოზიციები საქართველოში შემცირდეს. შეიძლება ევროსტრუქტურებშიც ასეთი აზრი მწიფდებოდეს, რომ ის რეკომენდაციები ვერ შესრულდეს, რაც მათ სურთ, მაგრამ გეოპოლიტიკური ფაქტორი მნიშვნელოვანია.

ლიკა ბერიკაშვილი

ქართული გეოლოგიის ტიტანი

ტექტონიკის შეუდარებელი მკვლევარი-აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე

ქართული გეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

გატონმა ერეკლემ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის ხელმძღვანელობით (იგი მისი ასპირანტი იყო) და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1966 წელს.

ამის შემდგომ ერეკლე გამყრელიძე აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას ალექსანდრე ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემდე..

გატონმა ერეკლემ, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში გეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების და, პირველ რიგში, მისი უმნიშვნელოვანესი დარგის – ტექტონიკის განვითარებაში.

მოღვაწეობის დასაწყისში განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1967-1968 წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხანგრძლივი მივლინების შემდეგ მის მიერ, კავკასიისა და სხვა ნაოჭა-მთათა სისტემების დისლოცირებულ დანალექ შრეებში ე.წ. პლანეტარული ნაპრალოვნების აღმოჩენა და მისი გლობალური ხასიათისა და მნიშვნელობის დასაბუთება (ჟურნალი Геотектоника, 1972 წ.), რაც გახდა საფუძველი 1976 წელს მისი არჩევისა კალიფორნიის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის – IAP-ის წევრად (1977-1981 წლებში იგი იყო ამ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი). (1989 წლიდან ამ ასოციაციის აქტივობა გადაეცა გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირს (IUGS).

აკად. ე. გამყრელიძე 1970-იან წლებში პირველი შეუდგა კავკასიისა და ხმელთაშუა ზღვის ოროგენული კოლიზიური სარტყლის მოსაზღვრე რეგიონების გეოდინამიკური ევოლუციის პრობლემის შესწავლას და საგჭოთა კავშირის გეოლოგთა შორის ერთ-ერთმა პირველმა განიხილა ეს ევოლუცია ახალი უნივერსალური გეოლოგიური თეორიის – ფილების ტექტონიკის პოზიციიდან, რასაც მოჰყვა მთელი რიგი საყოველთაოდ აღიარებული თეორიული წარმოდგენების გადასინჯვა და დედამიწის ქერქის და ლითოსფეროს განვითარების სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია.

1974 წელს ე. გამყრელიძემ თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზისის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა“, რომელიც 1976 წელს გამოქვეყნდა სპეციალური მონოგრაფიის სახით. 1986 წელს ჟურნალში „Tectonophysics“ გამოქვეყნდა გატონი ერეკლეს შემაჯამებელი სტატია კავკასიის და მომიჯნავე რეგიონების ალპური დროის გეოდინამიკური ევოლუციის შესახებ.

მან პირველმა, სხვა მთათა სისტემების ანალოგიურად, კავკასიისა და მისი მოსაზღვრე რეგიონების მაგალითზე, დაადასტურა დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევება და, ასევე 1970-იან წლებში დაიწყო ამ განშრევების ერთ-ერთი გამოხატულების ე.წ. შარიაჟული სტრუქტურების აგებულებისა და წარმოშობის მექანიზმის შესწავლა. აკად. პ. გამყრელიძესთან ერთად მან დაადგინა შარიაჟების არსებობა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე და მტკვრის დეპრესიაში, რასაც მოჰყვა სპეციალური მონოგრაფიის გამოქვეყნება. ეს გამოკვლევები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ 1976 წელს ე. გამყრელიძე აირჩიეს აღმოსავლეთ ევროპის აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის შარიაჟების შემსწავლელი ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელად და აქედან მოყოლებული, თითქმის 17 წლის განმავლობაში, იგი უძღვებოდა ამ ჯგუფის საორგანიზაციო თათბირებს, სამეცნიერო სესიებსა და საველე კვლევებს ალპების, კარპატების, პირენეების, ბალკანიდების, აპენინების და კავკასიის მთათა სისტემებში. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 1991 წელს კვლავ ჟურნალში „Tectonophysics“ გამოქვეყნდა სპეციალური სტატია, რომელიც მიეძღვნა ალპური კოლიზიური სარტყლის შარიაჟების კვლევის შედეგებს. აქ მან, სხვადასხვა მთათა სისტემების მაგალითზე, დაასაბუთა შარიაჟების წარმოშობის ქვეცოცებითი (სუბდუქციური) მექანიზმის უნივერსალური ხასიათი.

1997 წელს ე. გამყრელიძემ პირველმა მოახდინა ალპური სარტყლის ცენტრალური სეგმენტის (ანატოლია, კავკასია, ირან-ავღანეთი) ტექტონიკური დარაიონება ტერეინული ანალიზის საფუძველზე, რამაც შემდგომ ფართო გამოყენება პოვა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამის შემდგომ, განსაკუთრებით აღსანიშნავია გატონი ერეკლეს მიერ, აკად. დ.შენგელიასთან ერთად, კავკასიის ალპურამდელი კრისტალური სუბსტრატის მრავალმხრივი შესწავლა, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შეიცვალა არსებული წარმოდგენები ამ სუბსტრატის სტრუქტურისა და მისი ამგები ქანების ასაკის, ურთიერთდამოკიდებულებისა და წარმოშობის გეოდინამიკური პირობების შესახებ. ამ საკითხებსა და ზოგიერთ სხვა თანამედროვე თეორიული გეოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა ამ ავტორთა მიერ შექმნილი მონოგრაფია „კამბრიულისწინა და პალეოზოური რეგიონული მეტამორფიზმი, გრანიტოიდული მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“ (458 გვ.), რომელიც 2005 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „ნაუჩნი მირში“ გამოიცა და საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ამ წიგნის რედაქტორის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ვ. ხაინის აზრით **„სრულიად ნათელია, რომ ეს მონოგრაფია მრავალი წლის განმავლობაში იქნება ამოსავალი წერტილი ამ დარგში ყველა შემდგომი კვლევებისათვის“.**

აკად. ე. გამყრელიძე 1969 წლიდან, თითქმის 30 წლის განმავლობაში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს: „სტრუქტურულ გეოლოგიასა“ და „გეოტექტონიკაში“. 1994 წელს მან წაიკითხა ლექციების კურსი ტექტონიკისა და გეოდინამიკის პრობლემებზე კემბრიჯისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში. შემთხვევითი როდია, რომ ევროპისა და აზიის რეგიონული გეოლოგიის ენციკლოპედიაში (Champen and Hall,1997) საქართველოს გეოლოგიური აგებულებისა და ევოლუციისადმი მიძღვნილი თავი გატონი ერეკლეს დაწერილია.

გატონი ერეკლე მონაწილეა ათეულობით საერთაშორისო ფორუმისა. გარდა ამისა იგი საგრანტო პროექტებთან და, სხვა საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა სპეციალური სამეცნიერო მოხსენებებით მიუნჰენის, პარიზის, ვენის, ვარშავის, რომის, ბრატისლავის, სოფიის, ბუქარესტის, პრაღის, ფრაიბურგის, მოსკოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. მისი შრომები, რომელთა რაოდენობა 230-ს აღემატება (მათ შორის 10 მონოგრაფიაა, და აქედან 4 უცხოეთშია გამოცემული), გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებსა და გამომცემლობებში. ამასთან იგი არის 90-ზე მეტი ხელნაწერი შრომის (გეოლოგიური ანგარიშების) ავტორი.

იგი ამჟამადაც აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ძალიან მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში. ბოლო 3 წლის განმავლობაში მას გამოქვეყნებული აქვს 3 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში და, ამავე პერიოდში – 2021 წელს გამომცემლობა „შპრინგერში“ დაიბეჭდა მისი წიგნი, თანაავტორებთან ერთად „საქართველოს გეოტურისტული პოტენციალი“

გატონი ერეკლე არის არაერთი უცხოური (NATO LYNCAGE, INTAS (Open call), ISTC (ორჯერ), SCOPES (ორჯერ), DARIUS და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების (ხუთჯერ) მფლობელი.

მის, როგორც მეცნიერისა და ინტელექტუალის, ავტორიტეტს უდავოდ ამაღლებს რამდენიმე უცხო ენის ცოდნა.

აკად. ე. გამყრელიძის მიერ შედგენილია საქართველოს მრავალი რეგიონის გეოლოგიური და ტექტონიკური რუკები, იგი არის ევროპის საერთაშორისო (1:5 000 000) და კავკასიის ტექტონიკური (1:1 000 000) რუკებისა და საქართველოს ზოგადი სეისმური დარაიონების რუკის (1:1 000 000) თანაავტორი და 1:500 000 და 1:1 000 000 მასშტაბის საქართველოს ახალი გეოლოგიური (2009 წ.) და ტექტონიკური (2013) 1:500 000 მასშტაბის რუკების ციფრული ვერსიების ავტორი და რედაქტორი რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჩამოთვლილი რუკებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოსთვის პირველად, ფილების ტექტონიკის თეორიის საფუძველზე შედგენილი საქართველოს ტექტონიკურ-გეოდინამიკური შინაარსის უნიკალური რუკები (1:500 000 და 1: 1 000 000), რომლებზეც გამოყოფილია დანალექი, ინტრუზიული, ეფუზიური და მეტამორფული ქანების გეოდინამიკური კომპლექსები, სხვადასხვა ტექტონიკური სტრუქტურების ასაკი და ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები.

სტრატიოზოჰიფსების საშუალებით ნაჩვენებია იურულამდელი კრისტალური ფუნდამენტის და ზოგიერთი სხვა გეოლოგიური ჰორიზონტის ჩაწოლის სიღრმე და მორფოლოგია. რუკაზე გამოსახულია აგრეთვე ტექტონიკურ ძაგვათა ველი და დედამიწის ქერქის თანამედროვე მოძრაობის მიმართულება და სიჩქარე GPS მონაცემების საფუძველზე. უდავოა, რომ ამ რუკას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

გატონი ერეკლე იყო გაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შაჰ-დენისის ნავთობ და გაზსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-სეისმოტექტონიკური კომისიების თავმჯდომარე. გარდა ამისა მან შეისწავლა საქართველოს მინერალური წყლების ბევრი საბადოსა და მადნიანი ველის გეოლოგიური აგებულება და ფორმირების პირობები.

აკად. ე. გამყრელიძე მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას, არის საერთაშორისო გეოლოგიური რუკის კომისიის, საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის, მსოფლიოს აკადემიის გეოლოგიური და გარემოს ინჟინერიის სამეცნიერო კომიტეტის (ISCGEE), ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ სარედაქციო საბჭოს და რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. იგი არის ალ. ჯანელიძისა და ა.თვალჭრელიძის სახელობის პრემიების ლაურეატი და დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2018 წელს გატონი ერეკლეს შრომათა ციკლისთვის: „საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ალპურ-ჰიმალაიური კოლიზიური სარტყლის გეოდინამიკური ევოლუციის კვლევა თეორიულ და გამოყენებით ასპექტებში“ საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა.

ვულოცავთ გატონ ერეკლეს იუბილეს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, მხნეობას, დაუცხრომელი ენერგიის შენარჩუნებას და მომავალი შემოქმედებითი გეგმების შესრულებას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ-ს ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

ქართული სპორტული ჟურნალისტიკის კოლორიტი

შოთა პლატონიშვილისა და ლალა დუშუაშვილის პატიოსან, ალალმართალ და თითით საჩვენებელ ოჯახში ამ სამოცი წლის წინათ ვაჟი დაიბადა, დიახ, სწორედ იმ დღეს, როდესაც მაშინდელი საბჭოეთი და ნახევარ მსოფლიოზე მეტი ქვეყნების მოსახლეობა ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ზეიმობდა და ყველა პროგრესული, ზნეობრივი ადამიანის ოჯახში, განსაკუთრებით საქართველოში, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა მსოფლიო შავი ჭირის მოშორებაში, სიხარულითა და სიყვარულით აღინიშნებოდა ეს დღე. „გამარჯვების დღეს“ დაბადებული მიჭუნასათვის სიმბოლურიც იყო ქართველთა უპირველესი წმინდანისა და მფარველის – გიორგის სახელის დარქმევა.

გაგიკვირდებათ, ასე პათეტიკურად, სიყვარულითა და აღმატებული გრძნობებით რატომ ვიწყებ ამ საიუბილეო ნარკვევის წერას, მაგრამ ადვილად დამერწმუნებიან ჩვენი გაზეთის მკითხველები, სპორტის მოყვარულები თუ ქართული სპორტული სამყაროს წარმომადგენლებიც, რომ რანაირი მოსაფერებელი ეპითეტებითაც არ უნდა შეამკონ ეს პიროვნება, მაინც სინაკლულის გრძნობა გაუჩნდებათ, რადგან, ვინც კი იცნობს, ვისაც გაუგია და ყური მოუკრავს ამ სახელისა და გვარისთვის, მართლაც ვერცერთი ჟურნალისტი ვერ გადმოსცემს იმ სიყვარულს, რასაც იმსახურებს ეს თავმდაბალი, შრომისმოყვარე, გადამეტებულად მოსიყვარულე, მეგობრისადმი გვერდში მდგომი და დაუზარელი, რაც მთავარია, დიდი პროფესიონალი და არჩეული საქმის უერთგულესი სუპერრაჯველი გია (გიორგი) პლატონიშვილი. ყველაზე მეტად კი ნამეტნავად გაუკვირდებათ ექვსი ათეულის წარმოდგენა, რადგან ასეთი დაუზარელი, ახალგაზრდა და მუდამ ხალისიანი კაცი ყველას ის პატარა ბიჭი ჰგონია, რომელმაც თითქმის ორმოცი წლის წინათ შემოაღო ამ ურთულესი, დაუფასებელი, სიძნელეებით აღსავსე ოჯახის კარი, რომელსაც ქართული ჟურნალისტიკა ჰქვია. ისევე მორიდებულად და რუდუნებით ემსახურა თავის პროფესიას, როგორიც მისმა დიდმა პედაგოგებმა და კოლეგებმა რედაქციაში მოსვლისთანავე დაანათლეს, დაარიგეს, გაწვრთნეს და პირადულ მაგალითებზეც ისე კარგად აღზარდეს, რომ მრავალმხრივი ნიჭიერებით მადლცხებულ ადამიანს თვალით სხვა პროფესიისკენ არც გაუხედავს და დღემდე ამ სიერთგულით მოდის.

თბილისში დაბადებულმა, მშობლების გადაწყვეტილებით, ბავშვობის წლები მშობლიურ რაჭაში გაატარა და არცთუ უსაფუძვლოდ – თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, წინაპართა პატივგება და ახლობელთა დაფასება, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში ისე შეისისხლხორცა და გაითავისა, რომ უკვე წლების შემდეგ ასაკში შესულ მშობლებსა და ახლობლებს ერთი ბეწო დანანების გრძნობაც არ ჰქონიათ, ერთადერთი ვაჟის „გახიზვნის“ გადაწყვეტილების მიღების გამო.

ალბათ, გენებს თუ გვერდით „გავწევთ“, მხოლოდ ამ დიდებული კუთხის ბუნებისა და ტრადიციების გამოისობითაცაა მოჭარბებული შრომისმოყვარეობა, სიალალე, შიგადაშიგ აფეთქებაგარეული სიდინჯე, კაცთმოყვარეობა, რაც მისი ხასიათისთვისაა დამახასიათებელი.

თბილისში „ჩამობარგებულმა“ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დედაუნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა სწავლის პარალელურად რესპუბლიკის მოწინავე გაზეთების რედაქციებში მიიღო ჟურნალისტური წრთობა, შემდეგ კვლავ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და ყველაზე ახალგაზრდა ჟურნალისტი რაიონული გაზეთის „სამზარეულოს“ საქმეებს შეეჭიდა, პარალელურად წინაპართა – ჯაფარიძეთა და დუშუაშვილთა სისხლმაც იყივლა და ონის სახალხო თეატრის სცენის მტვერნაყლაპმაც ტოლი არ დაუდო იმ დროისთვის და შემდგომაც ცნობილ მსახიობებს... მერე, კვლავ არჩეული პროფესიის სიყვარულმა იმძლავრა და ოთხმოცდაათიანი წლებიდან ქვეყნის უპირველეს, ამჟამად საუკუნეგადაცილებულ გაზეთში განაგრძო მუშაობა და არც დღეს ღალატობს სიტყვის მსახურებას.

დიდი ბედნიერება იყო მისთვის ერთ ოთახში მიეღო რჩევა-დარიგებები ისეთი კორიფეებისგან, როგორებიც გახლდნენ კოია (გურამ) გომართელი, ვილენ მარდალეიშვილი, ანზორ გასილაია, ალეკო ასლანიშვილი, ვალიკო სიმონიშვილი. ემუშავა ისეთი ლეგენდარული რედაქტორების ხელმძღვანელობით, როგორებიც გურამ გოგიაშვილი, არმაზ სანებლიძე, რუსლან რუსია გახლდნენ... სწორედ თავისი პროფესიის წყალობითა და სპორტის სიყვარულით მოუწია, გაეშუქებინა ასობით ასპარეზობები ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებისა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან თუ ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკებიდან. ფენომენალური მახსოვრობის წყალობით ახლაც ცოცხალ ენციკლოპედიად თვლიან და აფასებენ საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, სპორტული ჟურნალისტიკის ამაგდარს, მრავალი პრემიის ლაურეატს, ჩვენს გია პლატონიშვილს.

არამატო პროფესიული თვალსაზრისით, არამედ თავისი სიალალითა და ერთგულებითაა, რომ უამრავი ადამიანის საყვარელ პიროვნებად ითვლება. მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება ხომ ადამიანთა გვერდით დგომა და დახმარებაა, მისთვის არ არსებობს დაღლა, ფინანსური პრობლემა, ცუდი ამინდი, ავადმყოფობა, თავის გასასამართლებელი ათასი მიზეზი, რომ საქმე გადადოს – სწორედ ამიტომაცაა „გაჭირვების ტალკვესი“. რედაქციაშიც არ არსებობს პრობლემა, რომ „პლატონამ“ ვერ მოაგვაროს. გადამეტებული თავმდაბლობის გამოისობითაცაა, რომ ჩრდილში ყოფნაც უყვარს, ზედმეტად ვერავის შეაწუხებს, თავად კი სამეგობროსთვის ბოლომდე იხარჯება.

გილოცავთ, ძმაო, ამ საიუბილეო თარიღს, მუდამ მხნედ, ხალისიანად, დაუზარებლად ემსახურე ამ ძნელ, რთულ და ზოგჯერ დაუფასებელ საქმეს, რომელიც ოთხი ათეული წლის წინ აირჩიე, გვიყვარხარ ყველას, სალოცავი დედიკო გიცოცხლოს ღმერთმა, ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ყველას დამრიგებელი და გვერდით მდგომი ქალბატონი ლალა. მშობლიური ოდაბადე გაგიძლიეროს და აგიღორძინოს ღმერთმა, რომლის ხსენებაზეც თვალზე ცრემლი გადგება და ერთი სული გაქვს, როდის აინავარდებ რაჭის მშობლიურ მთებში, საქართველო გაგიძლიეროს ღმერთმა, რომლის სიყვარულითაც მოდიხარ დღემდე, რწმენა გაგიძლიეროს შენი ბარაკონისა და ნიკორწმინდის პატრონს და... კურიოზებიც ნუ მოგაკლოს ღმერთმა, რომელიც მთელი ცხოვრებაა თან გსდევს და რომლებსაც სახალისო ისტორიებად კინძავენ ჩვენი მეგობრები. იცოცხლე გია პლატონიშვილო, ჩვენი რედაქციისა და ქართული ჟურნალისტიკის მართლაც გამორჩეულო კოლორიტო!

მამუკა ვაშაკიძე

ფაშიზმზე გამარჯვებული აბაშელები

თითქმის რვა ათეული წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, ომის, რომელმაც 20 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1941 წლის 22 ივნისს გამთენიისას ფაშისტური გერმანიის დივიზიებმა გადმოკვეთეს საბჭოთა კავშირის საზღვრები და დაიწყო დიდი სამამულო ომი.

ომის გამოცხადების მეორე დღესვე კავშირის მასშტაბით გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია.

აბაშა საქართველოში თითქმის ყველაზე პატარა რაიონია როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის რაოდენობით.

ამ ომში ჩვენმა რაიონმა 6600-ე მეტი მებრძოლი გაგზავნა სამშობლოს დასაცავად. მათგან 2700-ზე მეტი შეეწირა ფაშიზმს. ვინც დაბრუნდა, ნახევარზე მეტი ხეიბარი იყო. აბაშელ მებრძოლთა ნეშტები განისვენებენ რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ავსტრიის, მოლდოვის, რუმინეთის, ნორვეგიის, ფინეთის, საფრანგეთის, იტალიის და გერმანიის საძმო სასაფლაოებზე.

აბაშელმა მებრძოლებმა მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ომის ისტორიაში. მათგან ერთს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა: ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანი, ასეულის კაპიტანი გმირის წოდების მინიჭებამდე 2 თვით ადრე დაიღუპა და მადლიერმა უკრაინელებმა გმირის ნეშტი ქ. ჩერკასკის პიონერთა სასახლის ეზოში დაკრძალეს, იმ პიონერთა სასახლის ეზოში, რომლისთვის ბრძოლაში ფაშისტებმა მძევლად აიყვანეს პიონერთა სასახლის მოსწავლეები, რომელთა განთავისუფლებისთვისაც ვახტანგ ჩიქოვანმა საოცარი სიმამაცე გამოიჩინა და საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ბავშვები გარდაუვალი სიკვდილისგან.

მრავალი აბაშელი მონაწილეობდა ბერლინის აღებისთვის ბრძოლაში: სოფელ პირველი მაისიდან სერგო ტაბაღუა, არტილერისტი, პოლკოვნიკი იოსებ ქორჩილავა, მაიორები ივანე აბრამია და მიხეილ დუნდუა. მოსკოვის დაცვას შეეწირა ონტოფოელი უფროსი ლეიტენანტი ალფეს კაკულია, ზაპოროჟიესთვის ბრძოლაში დაიღუპა კეთილარელი მიხეილ ჭაქვაძე, სტალინგრადისთვის ბრძოლაში დაეცა ბომბდამშენი ესკადრილიის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენოსანი გიორგი კაჭარავა, კენიგსბერგისთვის ბრძოლაში დაიღუპა ექიმი პორფილე ბახია. უგზოუკვლოდ დაიკარგა კაპიტანი აბრაამ მიხელაშვილი.

სოფელ სუჯუნიდან 34-მა ებრაელი ეროვნების მებრძოლმა აიღო იარაღი, მათგან 32 შეეწირა სამშობლოს დაცვას.

ომი ფაშიზმის საკუთარ ბუნაგში განადგურებით დამთავრდა და ჯოჯოხეთს გადარჩენილი მებრძოლები დაუბრუნდნენ ოდაბადეს. ბევრი მათგანი უშურველად ჩაება სამშობლოს ეკონომიკურად გაძლიერების საქმეში. მათ შორის უფროსი ლეიტენანტი სერგო ჭანტურია, კაპიტანი ვასილ კვარაცხელია, ექიმები აპოლონ ნოდია, ვლადიმერ დარცმელიძე, ივანე თოფურია, ოთარ კაჭარავა, პედაგოგები ბაგრატ ოჩიგავა, მანტილიანე თელია, ვლადიმერ ჩხაიძე, გიორგი ქოიავა, სევერიან ლოჩოშვილი, ვლადიმერ პერტენავა, ბიქტორ ღვაბერიძე, შალვა ბოკუჩავა, პანტელეიმონ ჯორბენიძე, მელიტონ მელაძე, კონსტანტინე კაჭარავა, დომენტი ქოიავა, შალვა მაკალათია, ზაქრო ჩიქოვანი, არტემ ჭანტურია, კარლო კომახიძე, სევერიან სანიკიძე, ვლადიმერ ფირცხალავა, პეტრე და გიორგი პაპავები, გიგა თელია, პანტელეიმონ ნოდია, ბორის თოფურია, არდალიონ ფირცხალავა, მანუელ ბოკუჩავა, ერეკლე კეკელია, გიორგი და ვლადიმერ კაჭარავები, მიხეილ პერტენავა, სერგო ხურცილავა, როლანდ ჭანტურია, სოფლის მეურნეობის მუშაკები კაპიტონ სამაშვილი, ილია ნინუა, სევერიან ნოდია, მიტროფანე ძიძიგური, ჭიჭიკო ჯამაშურია, ივანე თელია, მიხეილ თელია, ვლადიმერ ფინცაკია, კირილე მიქაძე, აქვსენტი მიქაუტაძე, ნიკოლოზ კაჭარავა, ილია კაჭარავა, გივი კაჭარავა, დავით ლიპარტია, ვლადიმერ ქორჩილავა, ვლადიმერ ცომაია, რემანოზ ბოკერია, ჟურნალისტი ივლიანე თოფურია, ჯეირან ცომაია, ივანე არველაძე, გიორგი და შალვა ჩოჩიები, ვახტანგ კაჭარავა, შალვა ჩაგანავა, ლომინ მელია, ქოჩო ცომაია, შოთა თელია, სერგო ბოკუჩავა, ჭიჭიკო ჩაგანავა, მამია ცხადაძე, აკაკი ჭანტურია, შალვა გაბელაია, ოთარ მაკალათია, მიტროფანე უჩანეიშვილი, გრიგოლ ნოდია, აპოლონ ლაბარტყავა, ნიკანდრო კაჭარავა, ბონდო ლიპარტია, ილია ნოდია, ლევან თელია, ჩიჩერინ ბრელიძე, პარმენ სიგუა, ბაგრატ ცინცაძე. ვაჭრობის დარგის მუშაკები რაფიელ მიხელაშვილი, ვასილ რუხაძე.

აბაშელ გმირთა უკვდავსაყოფად 2012 წელს დავიწყე მუშაობა აბაშის სამხედრო კომისარიატში, მხედრიონელთა თარეშს გადარჩენილ არქივზე, რათა მომავალი თაობებისთვის დამეტოვებინა სამშობლოს ფაშიზმისგან დამცველ მებრძოლთა ხსოვნა. 10 წლის შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ სერგო ტაბაღუასთან ერთად დაიბეჭდა 414-გვერდიანი წიგნი, რომელშიც ყველა აბაშელი მებრძოლის გმირობაზეა საუბარი. სამწუხაროდ, 200 ეგზემპლარზე მეტი ვერ მივაწოდე მთხოვნელებს.

აბაშის რაიონიდან ომში წასულმა მრავალმა მებრძოლმა ისახელა თავი. ჩიჩერინ ბრელიძე, ვასილ გოგიშვილი, ხ. ხოშტარია, გ. შენგელია დაჯილდოებული იყვნენ ალექსანდრე ნეველის უმაღლესი ხარისხის ორდენებით. 800-ზე მეტი მებრძოლი დაჯილდოებული იქნა „წითელი ვარსკვლავის“, „დიდების“, „სამამულო ომის I, II და III ხარისხის“ ორდენებით და მრავალი სხვა სახის მედლებით.

რაიონში ბევრი ოჯახი იყო, საიდანაც რამდენიმე მებრძოლი იყო გაწვეული. სოფელ სამიქაოში მცხოვრებმა ჯანუაშვილების ოჯახმა ომში 5 ძმა გაგზავნა. სოფელ გეზათიდან გაბუნიების ოჯახმა 5 ძმა ჩააყენა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

იხ. 9 გვ.

„ქართული დიპლომატიის ისტორია“

ივანე ჯავახიშვილის სადაგ დღეებში

21 აპრილი ღირსსახსოვარ თარიღად დარჩება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და, საერთოდ, ქართული დიპლომატიის ისტორიაში.

ამ დღეს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს წარდგენა.

უკანასკნელ წლებში იშვიათად თუ ყოფილა ასეთი საგანმანათლებლო თავყრილობა... მეცნიერთა გვერდით იმყოფებოდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები, დიპლომატები, ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწენი და, რაც მთავარია, მრავლად იყვნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, რომელთათვის განკუთვნილია ეს სახელმძღვანელო.

„გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ქვეყანაში დიდი ძნელბედობის დროს, როცა სათუო გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობა, ჩვენი უპირველესი სასწავლებლის ისტორიაში, მესამე არჩეულმა რექტორმა (მანამდე მხოლოდ პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი იყვნენ არჩეულნი), ბატონმა როინ მეტრეველმა ღირსეულად შეუნარჩუნა თბილისის უნივერსიტეტს სახე და ტრადიცია, ანგარიშგასაწევ სიახლეთა შორის, ქართული დიპლომატიის ისტორიის სისტემატიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ერთ პატარა ოთახში, ფუძე დაუდო ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას. შემოიკრიბა 20-25 წლის ასაკის იმედისმომცემი ახალგზდა მეცნიერები და დამამთავრებელი კურსების სტუდენტები, რომელთა შორის უმრავლესობა ამჟამად პროფესორი და აკადემიკოსია.

ეს ახალგაზრდა მეცნიერები უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ და ამაგდარ მეცნიერთა მხარდამხარ უშურველად შეუდგნენ რექტორის მიზანდასახულობათა ხორცშესხმას.

და იმ პატარა ოთახიდან დაიწყო ეს მნიშვნელოვანი ისტორია, რომელმაც საგულისხმო მასშტაბები შეიძინა.

ლაბორატორიას მალე ხელი დაესხა ქართული და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერი ცენტრად.

„ქართული დიპლომატიის ისტორიის“ ამჟამინდელ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

„ლაბორატორია-ცენტრი იმთავითვე შეუდგა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხების გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ კვლევას, რომლის შედეგები აისახა ცენტრის შრომების წელიწდეულ კრებულებში – „ქართული დიპლომატია“ (19 ტომი უკვე გამოიცა). ამით დაიწყო თვისებრივად ახალი ეტაპი საქართველოს საგარეო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. ცენტრის თანამშრომელთა მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობის ერთგვარ შეჯამებად იქცა პირველი „ქართული დიპლომატიური ლექსიკონის“ (ტ. I, თბ., 1998; ტ. II, თბ., 1999) შექმნა და, რაც მთავარია, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომის – „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების (ტ. I, II, 1998) მომზადება და გამოცემა. აღნიშნულმა ნაშრომმა (მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, ავტორები: ე. ასტახიშვილი, გ. ქავთარია, ნ. ლომოური, ნ. შოშიაშვილი, დ. ლეთოდიანი, ზ. ალექსიძე, მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, რ. მეტრეველი, დ. ნინიძე, დ. კაჭარავა, ნ. ასათიანი, გ. საითიძე, დ. კაციტაძე, ი. ტაბაღუა, ვ. მაჭარაძე, გ. იობაშვილი, ავთ. მენთეშაშვილი) იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და იქცა სამაგიდო წიგნად საქართველოს საგარეოპოლიტიკური ისტორიითა და დიპლომატიით დაინტერესებული მკითხველთათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებმა“, გარკვეულ ეტაპზე, ფაქტობრივად, შეასრულა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს ფუნქციაც, თუმცა არც ფორმით და არც მოცულობით ის არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმძღვანელოდ.

სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კოლექტივს, მიეღო გადაწყვეტილება ქართული დიპლომატიის ისტორიაში უშუალოდ სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნის შესახებ. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა 2001 წელს, როდესაც ცენტრმა გამოსცა პირველი სასწავლო პროგრამა „ქართული დიპლომატიის ისტორიაში“ (რედაქტორი რ. მეტრეველი; შემდგენლები: ზ. პაპასქირი და გ. საითიძე). 2003 წელს ცენტრმა უკვე გამოსცა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, ხოლო 2004 წელს – „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ ქრესტომათიაც (მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, ავტორები: ე. ასტახიშვილი, გ. ქავთარია, მ. ლორთქიფანიძე, დ. ლეთოდიანი, ზ. პაპასქირი, რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია, დ. ნინიძე, დ. კაჭარავა, გ. იობაშვილი, ვ. გურული, გ. ბოლოთაშვილი). ამჯერად კი მკითხველს ვთავაზობთ „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ახალ, ჩასწორებულ და შევსებულ გამოცემას. სახელმძღვანელო დიდ სამსახურს გაუწევს ,,საერთაშორისო სამართლის“, „საერთაშორისო ურთიერთობების“, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის“, „პოლიტოლოგიის“ სპეციალობების სტუდენტებს და მისცემს მათ საშუალებას, მნიშვნელოვნად შეავსონ თავიანთი ცოდნა მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სფეროში.“

როცა უნივერსიტეტში 2004 წლიდან ახალი ძნელბედობა დაიწყო, ქართული დიპლომატიის კვლევის ცენტრმა გადაინაცვლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ხელდასხმული საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

და სწორედ წლევანდელ 21 აპრილს გაიმართა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ ამ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოს წარდგენა, რომელიც გახსნა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ბრაჭულმა.**

შეკრებულთ მიესალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წარმომადგენელი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ბოდბელი მთავარეპიკოპოსი, **მეუფე იაკობი.**

როგორ იწერებოდა „ქართული დიპლომატიის ისტორია“ – ვრცლად ისაუბრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა.**

აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ,** პროფესორებმა **ბუბა კუდავამ, ერეკლე ასტახიშვილმა, ვახტანგ გურულმა, ზურაბ პაპასქირმა** გაიხსენეს ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მუშაობის წლები. ასევე აღნიშნეს გამომცემლობა „არტანუჯის“ წვლილი ცენტრის მიერ მომზადებული წიგნების გამოცემაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გიორგი ვოლსკიმ,** პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ **გივი მიქანაძემ** თავიანთ სიტყვებში ყურადღება გაამახვილეს „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე.

გივი შეყილაძე.

ნუგზარ შონიას ფოტო.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მუდმივ სიახლეებს გვთავაზობს

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სირაკუზის უნივერსიტეტს (აშშ) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

თანამშრომლობა ითვალისწინებს სირაკუზის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტს შორის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, ერთობლივი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფას.

სირაკუზის უნივერსიტეტი წარმოადგენს კერძო კვლევით უნივერსიტეტს, რომელიც დაფუძნდა 1870 წელს და მდებარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის შტატში, ქალაქ სირაკუზსში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მრავალ სიახლესთან ერთად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დანერგა ახალი პროექტი „აბიტურიენტები სტუდენტების პირისპირ“. ამ პროექტის საშუალებით აბიტურიენტი უშუალოდ უნივერსიტეტის სტუდენტებს დაუსვამენ მათთვის საინტერესო შეკითხვებს, რომ მიიღონ ყველაზე ობიექტური პასუხები სასწავლო პროცესისა და უნივერსიტეტში არსებული გარემოს შესახებ. გვინდა წარმატებები ვუსურვოთ აბიტურიენტებს, სტუდენტებს და უნივერსიტეტის მთლიან საგანმანათლებლო კოლექტივს. ჩვენი გაზეთი კი მუდმივად მოგაწვდით მნიშვნელოვან ცნობებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიმდინარე ნოვაციების შესახებ.

რუსუდან ქოგულია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა
და სირაკუზის უნივერსიტეტს (აშშ) შორის
ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი გაფორმდა

CIU
Syracuse University

კანდიდატის სტატუსის საპირწონე პირობა ვერც ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმა იქნება, ვერც კანონის უზენაესობის დათმობა და ვერც კრიმინალებისთვის ხელისუფლების იძულებით გადაბარება!

„ხალხის ძალა“: რა პირობების დაცვას ვითხოვთ ევროკავშირისგან?!

„გვინდა, აღშფოთება გამოვხატოთ ევროპარლამენტში გამართულ გამოფენასთან დაკავშირებით, რომელიც უხეშად, მიზანმიმართულად შეურაცხყოფს ქრისტიანების რელიგიურ გრძნობებს და არის იმ ფსევდოლიბერალური პროპაგანდის გაგრძელება, რომელიც პრინციპულად მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის, საქართველოს ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქისთვის, განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა. ჩვენ ვართ ადამიანის უფლებების ერთგული და მიგვაჩნია, რომ მყარად უნდა იყოს დაცული ნებისმიერი ადამიანის უფლება, განურჩევლად მისი ცხოვრების წესისა, თუმცა, ჩვენთვის მიუღებელია ფსევდოლიბერალების მიერ წარმოებული პროპაგანდა, რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვასთან არაფერი აქვს საერთო.

რაც შეეხება ევროპარლამენტში გამართულ გამოფენას, ის პროპაგანდაზე მევრად მეტია და თავად უხეშად ლახავს ადამიანის უფლებებს. ადამიანების რელიგიური გრძნობების მიმართ სრული შეუწყნარებლობა არის იმის მკაფიო დადასტურება, რომ ფსევდოლიბერალები თანამედროვე პოლიტიკაში ყველაზე არალიბერალურ და არატოლერანტულ პოლიტიკურ მიმდინარეობას წარმოადგენენ. ადამიანების რელიგიური გრძნობების ხელყოფის ესოდენ უხეში გამოვლინება ბოლოს ბოლშევიკებისგან გამოვცადეთ. აღმაშფოთებელია, რომ რასაც სჩადიოდნენ ბოლშევიკები 100 წლის წინ, იმის კიდევ უფრო უხეში რეკონსტრუქცია ვიხილეთ დღეს ევროპარლამენტის კედლებში. ჩვენ ხშირად გვითქვამს, რომ ევროპა საქართველოს ისტორიული ცივილიზაციური არჩევანია, რაც ისტორიული ფაქტია, თუმცა გვინდა, შეგახსენოთ, რომ ამ ცივილიზაციური არჩევანის მთავარი საფუძველი ქრისტიანობა იყო. საქართველო ყოველთვის იყურებოდა ევროპისკენ, რადგან მასში საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენის – ქრისტიანული რწმენისა და კულტურის დაცვის შესაძლებლობას ხედავდა. დღეს, როდესაც ევროპარლამენტში ცდილობენ, ევროპა და ანტიქრისტიანული პროპაგანდა ერთმანეთთან გააიგივონ, ეს საქართველოს ცივილიზაციურ არჩევანს პირდაპირ უპირისპირდება, რასაც რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებთ. ყველას გვახსოვს გზავნილი – ტრადიციებით ევროპაში, რომელსაც ფსევდოლიბერალებიც კი ახმოვანებდნენ, თუმცა არსებული ტენდენციები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ როდესაც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საკითხი დადგება დღის წესრიგში, ევროპაში არა ტრადიციებით, არამედ მხოლოდ ტრადიციებისა და ტრადიციული ღირებულებების დაგმობით შეიძლება მიგვიღონ.

აქვე გავიხსენებთ, რომ რამდენიმე ევროპარლამენტარმა ქედმაღლურად გამოგვიცხადა, კანდიდატის სტატუსს მხოლოდ ჩვენი პირობებით მოგცემთო. ეს განცხადება განსაკუთრებულად ცინიკურად ჟღერს იმ ფონზე, რომ ევროპარლამენტარებმა თავიანთი რეზოლუციებით ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების შეფარდება და ორი კრიმინალის – სააკაშვილისა და გვარამიას განთავისუფლება მოითხოვეს. ამასთან დაკავშირებით მკაფიოდ გვსურს, განვაცხადოთ, რომ კანდიდატის სტატუსის საპირწონე პირობა ვერც ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმა იქნება, ვერც კანონის უზენაესობის დათმობა და ვერც კრიმინალებისთვის ხელისუფლების იძულებით გადაბარება. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს კანდიდატის სტატუსის მისაღებად, რისთვისაც ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პუნქტიც ზედმიწევნით სრულდება, თუმცა მიგვაჩნია, რომ როდესაც საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზეა საუბარი, ჩვენც უნდა გვქონდეს ჩვენი პირობები და ეს პირობები სწორედ ქართველი საზოგადოების ტრადიციულ ფასეულობებს, სახელმწიფო სუვერენიტეტს უნდა დავუკავშირდეთ. შესაბამისად, საზოგადოებასთან ერთად უნდა დავიწყოთ მსჯელობა იმის დასაზუსტებლად, რა პირობების დაცვას ვითხოვთ ევროკავშირისგან საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ამ პირობებს თუ არ დავაყენებთ, ვერც სუვერენიტეტს დავიცავთ, ვერც ტრადიციულ ფასეულობებს და ვერც მშვიდობას ჩვენს ქვეყანაში“!..

ბედიის მონასტერი (X საუკუნე)

აფხაზეთში არსებული უძველესი ქართული ძეგლების მდგომარეობა საშიშროებაა!!!

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ აქტივისტებმა ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადაღება მოახერხეს, აცხადებენ რომ ძეგლები უმძიმეს მდგომარეობაში არიან და ამასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამენ. კერძოდ, აქტივისტებმა კადრებზე აღბეჭდეს ოჩამჩირის რაიონში უნიკალური ქართული ძეგლების – ბედიის მონასტრის (X საუკუნე), მოქვის საკათედრო ტაძრის (X საუკუნე), და ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის (XI საუკუნე) მდგომარეობა.

„X საუკუნით დათარიღებულ ბედიის მონასტერში, სადაც ჯერ კიდევ 2010 წელს, ქართული კვალის წაშლის მიზნით, ჩამოიფხიკა უნიკალური კედლის მხატვრობა, მათ შორის ბაგრატ III-ს ცნობილი ფრესკა, წლებია, მიმდინარეობს ე.წ. სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის შედეგიც კედელზე ჭიკარტით მიმაგრებული ბაგრატ III-ს დიდი ფოტოა, ხოლო უშუალოდ მონასტრის საერთო მდგომარეობა ბევრად მძიმეა, ვიდრე აქამდე იყო.

განსაკუთრებით სავალალოდ გამოიყურება ბაგრატ III-ს საძვალე.

აყრილია იატაკისა და საფლავის ქვები, მონასტრის მიმდებარედ არსებული შენობანაგებობები კი ხე-მცენარეებით იფარება დღემდე გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება „სარეაბილიტაციო სამუშაოები“, – აცხადებენ მოძრაობის წევრები.

მათი თქმით, ვინაიდან არსებობს საფრთხე, რომ ტაძარში შემორჩენილი ავთენტური ფრაგმენტები განადგურდეს და შესაძლოა, ბედიის მონასტერმა ილორის ეკლესიის ბედი გაიზიაროს და ის უბრალოდ თეთრად გადაღებონ, ისინი მოუწოდებენ კულტურის სამინისტროს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო საშუალება მეორე მხარესთან ბედიის მონასტრის ე.წ. რესტავრაციის მიზნების დასადგენად და ზემოხსენებული ძეგლების შესანარჩუნებლად.

„მოძრაობამ კულტურული მემკვიდრეობისთვის“ ასევე წერილით მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს ICOMOS და „ლურჯი ფარის“ წარმომადგენლობას, იმოქმედონ ომის დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ჰაგის 1954 წლის კონვენციის შესაბამისად და მეტი ყურადღება და აქტიურობა გამოიჩინონ აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადასარჩენად.

„აქცენტი“

„ტრამპიც რუსეთუმე ყოფილა“...

დონალდ ტრამპი:

ჩვენ გვჯერა, რომ რწმენა, ოჯახი არის თავისუფალი საზოგადოების საფუძველი, გვჯერა, რომ ერი საზღვრების გარეშე არ არის ერი, გვჯერა ტრადიციის, კანონის უზენაესობის

უნგრეთში მიმდინარე კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციას სიტყვით მიმართა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმ.

„დიდი პატივია, მივმართო თავისუფლებისმოყვარე პატრიოტებს, რომლებიც შეიკრიბნენ უნგრეთში, რათა აღნიშნონ მარადიული ღირებულებები და პრინციპები, რომლებიც აერთიანებს კონსერვატორებს მთელ მსოფლიოში. ისინი გაერთიანებული არიან, მათ იციან, რა ხდება, კარგად მუშაობენ. ჩვენ გვჯერა, რომ რწმენა, ოჯახი არის კარგი და თავისუფალი საზოგადოების საფუძველი. ჩვენ გვჯერა, რომ ერი საზღვრების გარეშე არ არის ერი. ჩვენ გვჯერა ტრადიციის, კანონის უზენაესობის, სიტყვის თავისუფლებისა და ყველა ცოცხალი ადამიანისთვის ღვთისგან მოძღვრული ღირსების. ეს არის იდეები, რომლებიც აერთიანებს ჩვენს მოძრაობას. გვჯერა თუ არა, ამ იდეებმა გადაარჩინა დასავლური ცივილიზაცია, ახლა კი სერიოზულ უბედურებაშია.

მოგეხსენებათ, ჩვენ ახლა ჩართული ვართ ისტორიულ ბრძოლაში მარქსისტ გლობალისტებთან და კომუნისტებთან მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვიბრძვით მარგარესების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ, გაანადგურონ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ტრადიციები და ყველაფერი, რაც ჩვენთვის ძვირფასია. როგორც ექვსი წლის წინ ვარშავაში ვთქვი, ყველა ჩვენგანს როგორც ევროპაში, ისევე ამერიკაში, შეგვიძლია ერთად დავდგეთ, რომ დავიცვათ ჩვენი კულტურა, საზღვრები, იდეური ქრისტიანული ღირებულებები, ჩვენი იდენტობა, ჩვენი ცხოვრების გზა მათგან, ვისაც სურს, გაანადგუროს ჩვენი საყვარელი ერები. ჩვენ გავიმარჯვებთ. როგორც პრეზიდენტს, მქონდა პატივი, გამეძლიერებინა განსაკუთრებული მეგობრობა აშშ-ს და უნგრეთს შორის ოთხი შესანიშნავი წლის განმავლობაში. ჩვენი ურთიერთობა დიდწილად ვიქტორისა და მასთან ერთად მომუშავე ადამიანების დამსახურებით არის შესანიშნავი. მოვუწოდებ უნგრეთის მოსახლეობას და კონსერვატორებს ევროპის მასშტაბით: განაგრძეთ ბრძოლა და არასოდეს შეწყვიტოთ ჩვენი თავისუფლების, ჩვენი ცივილიზაციის დაცვა. ჩვენ კომუნისტებს და გლობალისტებს უკან ვახევინებთ და ვიდრე თავდაჯერებულად მივიწევთ წინ, აუცილებლად გავიმარჯვებთ. ჩვენ ახლა ვიმარჯვებთ“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

„ევროპის დღე“ თბილისში

6 მაისს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მასპინძლობდა. საქართველოში ევროკავშირის ელჩთან ერთად მას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და თბილისის მერი კახა კალაძე ესწრებოდნენ.

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ ევროპის დღეებთან დაკავშირებით განაცხადა:

„გულითადად მოგესალმებით ევროპის დღეების აღნიშვნაზე. ვიმყოფებით „ექსპო ჯორჯიაში“. დღის განმავლობაში ძალიან ბევრი აქტივობა გვექნება. მშვენიერი ამინდია, შესანიშნავი განწყობა. დღეს შევიკრიბეთ, რათა ვიზეიმოთ ევროპის დღე. 70 წელიწადზე მეტი ხნის წინ, ევროპულმა ერებმა, სუვერენულმა, დამოუკიდებელმა, თავისუფალმა ევროპულმა ერებმა გადაწყვიტეს, გააერთიანონ ძალები, რათა ისაუბრონ ერთხმად, რომ დაიცვან მშვიდობა, კეთილდღეობა და თავისუფლება ევროპაში. ამ დროისთვის ჩვენ გვყავს 27 წევრი სახელმწიფო და ევროპელმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, გაეფართოებინათ ევროპა. ერთ-ერთი პოტენციური კანდიდატი არის საქართველო. საქართველოს მიენიჭა ევროპული პერსპექტივა. ეს ნამდვილად ისტორიული მიღწევაა და ჩვენ ველოდებით შემდგომ ნაბიჯებს, რაც დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხდება საქართველოში რეფორმების იმპლემენტაცია“.

პიტერ სიიარტო აშშ-ის საელჩოს ომის პროპაგანდაში ადანაშაულებს

უნგრეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის პიტერ სიიარტოს განცხადებით, უნგრეთში აშშ-ის ელჩი დევიდ პრესმანი ომის პროპაგანდით არის დაკავებული მაშინ, როდესაც უნგრეთს მშვიდობა სურს.

მანამდე უნგრეთში აშშ-ის ელჩმა, დევიდ პრესმანმა „ფრანს პრესთან“ ინტერვიუში გააკრიტიკა ბუდაპეშტის დუმილი უკრაინის ომის გამომწვევ მიზეზებზე.

„უნგრეთში, სამწუხაროდ, ურჩევნიათ საუბარი ყალბ კულტურულ ომზე მაშინ, როდესაც სამეზობლოში არის ნამდვილი ომი, სადაც ათასობით ადამიანი იღუპება ვლადიმერ პუტინის აგრესიულ ომში. საქმე არ არის მემარცხენეობაში, საქმე რუსეთშია“, – განაცხადა დევიდ პრესმანმა.

დამაიმედებელი გზავნილი ამერიკიდან

მივესალმებით საქართველოს მიერ გულდასმით განხორციელებულ ძალისხმევას საერთაშორისო ფინანსური სანქციების მხარდაჭერისა და ექსპორტის კონტროლის საქმეში, რაც აშშ-ის საელჩოს ხელშეწყობით ხორციელდება, – ამის შესახებ აღნიშნულია საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროს „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე.

ბიურო ყურადღებას ამახვილებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობაზე.

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა და აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა მონაწილეობა მიიღეს რენტგენოსკანერის გადაცემის ცერემონიაში, რომელიც ბათუმის აეროპორტში გაიმართა და მიზნად ისახავს აკრძალული საქონლის გამოვლენის შესაძლებლობის განმტკიცებას.

„ეს ფაქტი გააძლიერებს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, ხოლო სამაუოსა და საზღვრის დაცვის უწყებებს დაეხმარება აკრძალული და მასობრივი განადგურების იარაღის ტრეფიკინგის აღკვეთაში“, – აღნიშნულია საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროს „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე.

ფაშიზმზე გამარჯვებული აბაშელები

(მეექვსე გვერდიდან)

სოფელ კეთილარიდან 3 ძმა ჭაქვაძე იცავდა სამშობლოს, მათგან ერთი 1943 წლის 22 თებერვალს სტავროპოლის მხარის სოფელ კალაბატკასთან ბრძოლისას ირიცხებოდა რა 414-ე ქართულ დივიზიაში 222 სხვა აბაშელ მებრძოლთან ერთად 1775-ე დივიზიის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის შემადგენლობაში, აბაშელ ოთარ კაჭარავასთან, გორელ გიუნაშვილთან და თერჯოლელ ჭანტურიძესთან ერთად წარდგენილი იქნა საბჭოთა კავშირის გმირობაზე. სამწუხაროდ, მასალები გზაში დაიკარგა.

ჩვენი რაიონიდან 34 მანდილოსანი ებრძოდა ფაშიზმს, მათგან ორი გმირულად დაიღუპა. გერმანიის ბრანდენბურგის პროვინციაში ხელჩართულ ბრძოლას შეეწირა კაპიტანი ევსევი მიგინეიშვილი. სტავროპოლის მხარის ტამბოვის ოლქის სოფელ მარეევკაში გმირულად დაღუპულ მფრინავს, უფროს ლეიტენანტს გიორგი კაჭარავას და მის ოთხ თანამებრძოლს მადლიერმა მოსახლეობამ სოფლის ცენტრში სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა და ობელისკი დაუდგა.

რაიონში მხოლოდ ორი ცოცხალი ვეტერანია დარჩენილი: 100 წელს გადაცილებული დავით კაჭარავა და 98 წლის გერონტი გოგავა. ომის ყველა ვეტერანს ვულოცავ ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავს და ვუსურვებ მყარ ჯანმრთელობას.

დიდება ომის გმირებს! ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამშობლოს შეწირულ მებრძოლთა სულები.

ზაურ თელია,

აბაშის ვეტერანთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ვიცეპოლკოვნიკი, აბაშის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი.

უკრაინაში დაღუპული მებრძოლი ზურაბ ოდიშვილი საქართველოში ჩამოასვენეს

უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლი ზურაბ ოდიშვილი სამშობლოში ჩამოასვენეს. ოდიშვილი 93-ე ბრიგადის შემადგენლობაში იბრძოდა.

2022 წლის 24 თებერვლის, უკრაინაში რუსეთის ფართო მასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, 43 ქართველი მებრძოლია დაღუპული.

◎ ასე დაიგადა ტრიუმფი

კავკასიელი უფლისწული

ის, რაც კარგახანია დე ფაქტოა, უკვე დე იურეცაა – ნაპოლი იტალიის სამგზის ჩემპიონია, ხვიჩა კვარაცხელია კი სამხრეთელთა ტრიუმფის მთავარ შემოქმედთაგანია: 12 გოლი, 10 შედეგიანი გადაცემა და 3 გამომუშავებული პენალტი, თანაც ზუსტი პასების რაოდენობით ყველას აღემატება და დიდია შანსი, რომ ფინიშამდე დარჩენილ 5 შეხვედრაში ეს შთამბეჭდავი პირადი მონაგარი კიდევ უფრო გაზარდოს.

აღნიშნული ისტორიული ფაქტი უდინეს დაჩია არენაზე მოხდა, სადაც კამპანიელებს 10 ათასი ტიფოზი ჩაჰყვა, რომლებმაც თავიანთ კერპთა მხარდასაჭერად 800 კილომეტრი გაიარეს. სიმბოლურია, რომ იქვე დაიწყო 64 წლის ლუჩანო სპალეტის კარიერა, რომელმაც პირველი ტიტული მოიგო, აგრეთვე ისიც, რომ ადგილობრივი კლუბის სპორტულ ღირსებას თავის დროზე პარტენოპეის მეკარე მერეტი და წამყვანი ნახევარმცველი ჟელინსკი იცავდნენ.

უდინეზე – ნაპოლი 1:1 (1:0)

გოლები: ლოვრიჩი; ოსიმენი.

დეულოფეოსა და კიდევ რამდენიმე ლიდერის არყოფნაში მასპინძლებმა ყოჩაღად დაიწყეს მატჩი და უკვე მე-13 წუთზე დაწინაურდნენ. ალბათ, ბევრმა იფიქრა – ნუთუ კიდევ გადაიწევს ზეიმი? საბედნიეროდ, შესვენებაზე ფავორიტის თამაშში სასიკეთო კორექტივები განხორციელდა და კვარას შორეული გასროლა მალევე დამატებაზე ჩასაფრებული ოსიმენის ტურნირში 22-ე, მაგრამ ამავე დროს უფრო წონადი – ოქროს გოლით დაგვირგვინდა, თანაც 33-წლიანი ლოდინის შემდეგ და 33-ე ტურში – 1:1.

კიდევ უფრო საამაყოა, რომ ხვიჩა მეორე ქართველი ლეგიონერია, ვინც ტოპ-5 საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატში გაიმარჯვა კახი კალაძის შემდეგ (2003-2004 წ.წ., მილანი). ვიმედოვნებთ, სახელოვანი თანამემამულის და წინამორბედის მსგავსად, 22 წლის კვარაცხელია ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებს და, რაც მთავარია, ეროვნულ ნაკრებშიც შექმნის ეპოქას.

სხვათა შორის, მან აპენინური ოლიმპი პირველივე ცდით დალაშქრა მაშინ, როცა დიეგო მარადონას საამისოდ 3 სეზონი დასჭირდა (1987 წ.), ხოლო გენიალურმა არგენტინელმა 1990 წელს 51 ქულით მოხვეჭილ მეორე სკუდეტოს ბომბარდირთა დავაში დაკავებული მესამე ადგილი შეაშველა 16 გატანილი ბურთით. მაშინ ყველას 19 გოლით მარკო ვან ბასტენმა (მილანი) აჯობა, მეორე ადგილი კი 17 ზუსტი დარტყმით რობერტო ბაჯომ (ფიორენტინა) დაიკავა. ეს ისე, თორემ ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ.

ბუნებრივია, გამოხმაურებები თუ იქნება, აწი იქნება, ამჯერად კი პაოლო დი კანიოს მოსაზრებას გაგაცნობთ, რომელმაც ხვიჩა კვარაცხელიას ჯორჯ ბესტისა და კრიშტიანო რონალდოს ნაზავი უწოდა პირველთან მეტოქისათვის მომაკვდინებელი დრიბლინგის, ხოლო მეორესთან ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ ზუსტი დარტყმის უნარით მსგავსების გამო.

აურელიო დე ლაურენტისი (ნაპოლის პრეზიდენტი). „აქ 20 წლის წინათ მოვედი, როცა სერია – ცეში ვიყავით. პირობა დავდე, რომ 10 წელიწადში ელიტაში ვიქნებოდით და სიტყვა შევასრულე. ასევე დაგპირდით, რომ კიდევ 10 სეზონი დაგვჭირდებოდა ტრიუმფისთვის და ესეც რეალობად ვაქციე“.

ლუჩანო სპალეტი (გუნდის მთავარი მწვრთნელი). „ნანატრ მიღწევას ვუძღვნი ქალაქს, კლუბს, ფეხბურთელებს, შვილს – მატილდას, ძმას – მარჩელოს (ცრემლებს ვერ იკავებს).“

მოკლედ, ნაპოლი საჩემპიონო თასს ოფიციალურად ბოლო ტურში 4 ივნისს ჩაიბარებს, იტალიის სამხრეთი კი უკვე ეიფორიაშია და როდემდე გაგრძელდება ზეიმი, კაცმა არ იცის.

ჯუნტოლის ტოპ 10 ტრანსფერი „ნაპოლიში“

„ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონი 33-წლიანი პაუზის შემდეგ გახდა. ამ დიდ წარმატებას ხვიჩა კვარაცხელიას, ვიქტორ ოსიმენის, ლუჩანო სპალეტის თუ სხვების სახელებთან სამართლიანად აკავშირებენ, მაგრამ ეს გუნდი სპორტული დირექტორის, კრისტიანო ჯუნტოლის აშენებულია.

ბოლო დროს ჯუნტოლის შესახებ იტალიური მედია წერს, რომ სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და სამუშაოდ „იუვენტუსში“ გადავა. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ ამის შანსი არსებობს. მას „ნაპოლისთან“ კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ ეწურება, თუმცა წერენ, რომ აურელიო დე ლაურენტისი წასვლაში ხელს ახლაც არ შეუშლის.

კრისტიანო ჯუნტოლი „ნაპოლიში“ 2015 წლიდან მუშაობს. Calciomercato-მ მის მიერ განხორციელებული 10 საუკეთესო ტრანსფერი დაასახელა. ალბათ, არ იქნება გასაკვირი, თუ გეტყვით, რომ პირველი ადგილი ხვიჩა კვარაცხელიას ერგო.

პეპე რეინა (2015) – ის არის ჯუნტოლის ერთ-ერთი პირველი შენაძენი „ნაპოლიში“ მას შემდეგ, რაც „ბაიერნში“ ერთი სეზონი გაატარა ნოიერის შემცვლელად და ნეაპოლში ერთწლიანი პაუზის მერე 2 მილიონ ევროდ დაბრუნდა.

პიოტრ ჟელინსკი (2016) – „ნაპოლიმ“ ის „უდინეზედან“ 15 მილიონ ევროდ შეიძინა, პლუს ძუნიგა უდინეში იჯარით გაუშვეს. „ემპოლიში“ ორწლიანი იჯარით პოლონელმა ბევრი მოხიბლა, მაგრამ ჯუნტოლიმ ყველაზე სწრაფად იმოქმედა. დღეს ის ისევ სპალეტის გუნდის შეუცვლელი ფიგურაა და ზაფხულში დე ლაურენტისმა თითქმის 30-მილიონიანი შეთავაზება უარყო.

ფაბიან რუისი (2018) – ზოგიერთს არ მოეწონა, როდესაც ჯუნტოლიმ ის 30 მილიონ ევროდ იყიდა, მაგრამ ბიჭმა შესანიშნავად ითამაშა, „აძურიში“ 4 წელი გაატარა და 20-ზე მეტი გოლი გაიტანა.

ჯოვანი დი ლორენცო (2019) – სერია A-ში „ემპოლისთან“ ერთად ერთი სეზონიც საკმარისი გამოდგა „ნაპოლის“ სპორტული დირექტორის დასარწმუნებლად, რომ ის შეეძინა. 8 მილიონ ევროდ მან „აძურის“ მომავალი კაპიტანი იყიდა. დღეს ის ლიდერია მოედანსა და გასახდელში.

ირვინგ ლოზანო (2019) – პსვ-ში მისმა სლალომებმა „ნაპოლის“ მთავარი სკაუტის მაურიციო მიკელის ყურადღება მიიქცია, დანარჩენი კი ჯუნტოლიმ გააკეთა. 38 მილიონი ევრო და პლუს ბონუსები, „მილანთან“ კონკურენციაში მაინც გაიმარჯვეს.

ამირ რაჰმანი (2020) – როდესაც ყველა კოსოვოელის თანამემამულე მარაშ კუმბულას აქცევდა ყურადღებას, ჯუნტოლიმ გადაწყვიტა ის რაჰმანისკენ მიემართა. ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ის 15 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ 6 თვე „ვერონაში“ დატოვა, სანამ „აძურის“ შეუერთდებოდა. დღეს კი დაცვის ერთ-ერთი საყრდენია.

ვიქტორ ოსიმენი (2020) – საბაზრო ჰიტი. „ლილს“ 70 მილიონი გადაუხადეს. ჯუნტოლიმ პრემიერლიგის კლუბებთან კონკურენციაში გაიმარჯვა. პასუხი? ახლა ის მინიმუმ 100 მილიონი ღირს.

ფრანკ-ანდრე ზამბო ანგისა (2021) – პირველ სეზონში „ნაპოლიში“ 25 თამაში ჩაატარა, როცა იჯარით იყო, რაც მხოლოდ 600 000 ევრო დაჯდა. მინიმალური ხარჯი, მაქსიმალური ანაზღაურება. მომდევნო წელს ჯუნტოლიმ მასში 15-მილიონიანი ინვესტიცია ჩადო. დღეს კი სპალეტი მადლობელია.

კიმ მინ-ჯე (2022) – ამბობდნენ, რომ შეუძლებელი იყო კულიბალის ჩანაცვლება, მაგრამ ჯუნტოლი და მისი ინტუიცია არ ცდებოდნენ. 20 მილიონზე ნაკლები გადაიხადეს სამხრეთკორეელში, რომელსაც ცოტა თუ იცნობდა. ის „ფენერბახჩედან“ იყიდეს. ზაფხულში მის დამატებას „მანჩესტერი“ ეცდება.

ხვიჩა კვარაცხელია (2022) – აი, შედევრი! მან მხოლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადა. კვარას გადატრიალება შორიდან იწყება: პირველი კონტაქტები ანჩელოტის დროს შედგა, შემდეგ იყო პანდემია, დამშვიდობება ყაზანის „რუბინთან“ და ბათუმის დინამოს გავლით ჯუნტოლიმ შეიძინა. სპორტულ დირექტორს ახლა ყველა კოლეგა აქებს და თეთრი შურით შურთ, მაგალითად, ისეთ მაესტროს, როგორიც ვალტერ საბატინია.

◎ რინგზე

უხვი ნადავლით

ერევანში გამართული ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი შედეგიანი გამოდგა საქართველოს ნაკრებისთვის – მედლები მოიპოვეს როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა გუნდის წარმომადგენლებმა.

ყველაზე წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ **გორ აივაზიანს** (54 კგ). და **დემურ ქაჯაიას** (67 კგ), რომლებმაც ფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხეს და შემდეგ ჩემპიონობაც იზეიმეს.

ოქროს მედლამდე ნაბიჯი დააკლდა **თათია ბუკიას** (75 კგ) იგი გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდა და ასპარეზობა ვერცხლის მედლით დასრულა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებს სამივე ფინალში რუს მოკრივეებთან მოუწიათ ურთიერთობის გარკვევა.

მესამე ადგილებით საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედლები შესძინეს **დავით ჯაფარიძემ** (51 კგ), **ლევან დემუროვმა** (57 კგ) და **გიორგი ნატროშვილმა** (75 კგ).

◎ ოკეანის გალმა-გამოღმა

საინფარქტო სცენარებით

ნგა-ს პლეი-ოფების სერიის მშვენება მოქმედ ჩემპიონ გოლდენ სტეიტისა და ლეიკერსის დუელია, რომელშიც ოკლენდში გამართული ორი სასტარტო მატჩის შემდეგ ანგარიში თანაბარია – 1:1.

პრინციპულ მეტოქეობაში დივისის შესანიშნავი თამაშით კალიფორნიელები დაწინაურდნენ, საპასუხო ჩხვლეტა კი მათ ტომპსონის ძალისხმევით მიაყენეს. რაც შეეხება სტუმარ-მასპინძელთა ლიდერებს, – „მეფე“ ლებრონ ჯეიმსსა და სტეფ კარის, ისინი ჯერჯერობით გუნდური ინტერესების გათვალისწინებით უფრო პარტნიორთა ხელშეწყობით არიან დაკავებულნი და პირად სტატისტიკაზე ნაკლებად ზრუნავენ.

არანაკლებ საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები ევროლიგაშიც, რომლის ოთხთა ფინალსაც 19-21 მაისს კაუნასი ჟალგირისის გარეშე უმასპინძლებს, რომელიც ბარსელონასთან ვარსკვლავთა ტრავმების ეპიდემიის გამო სამივე ბრძოლაში დამარცხდა – 0:3.

რაც შეეხება დანარჩენი პლეი-ოფების წყვილებს, მათში უძლიერესთა გამოსავლენად დამატებითი შეხვედრები გახდა საჭირო: მაკაბი – მონაკო – 2:2 (ამ უკანასკნელთა თავკაცის თანაშემწეა **მანუჩარ მარკოიშვილი**), ფენერბახჩე – ოლიმპიაკოსი 2:2 (სტმრებს მეორე წარმატება ბოლო წამზე სლუკასმა მოუტანა) და პარტიზანი – რეალი 2:2 (სამეფო კლუბმა მდგომარეობა სერბეთში გამოასწორა მას შემდეგ, რაც საწყისი საშინაო თამაშები სენსაციურად დათმო).

„წარჩინებული ოროსნები“

სკოლაში სწავლა უჭირდა მევრ სხვა გამოჩენილ პიროვნებასაც. მაგალითად „ალუმლის მაღის“, „სამი დისა“ და „თოლიას“ ავტორი, დიდი მწერალი **ანტონ ჩეხოვი,** ორჯერ დატოვეს კლასში. ამის მიზეზი არითმეტიკაში, გეოგრაფიასა და მერძნულ ენაში მისი არადამაკმაყოფილებელი ცოდნა იყო. მეტიც: სიტყვიერებაში, რომელმაც მიჭუნა შემდგომ მსოფლიო დონის მწერლად აქცია, მას „სამიანზე“ მაღალი ნიშანი არასდროს მიუღია, – თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ ანტონის ასეთ წარუმატებელ სწავლაში ლომის წილი... მამამისს მიუძღვის. საქმე ისაა, რომ მას ტაგანროგში სურსათის მაღაზია და ლუდის სახადი ჰქონდა გახსნილი, სადაც მიჭუნას მეცადინეობის შემდეგ ეხმარებოდა, რის გამოც საშინაო დავალებების შესრულება ხშირად მაღაზიის თუ ლუდხანის დახლთან უწევდა.

* * *

ვლადიმერ მაიაკოვსკის კი სწავლაში, მისივე თქმით, ხელი შეუშალა... რევოლუციამ. სკოლის პირველი სამი კლასი მან ფრიადებზე დაამთავრა, მაგრამ მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა 1905 წლის მოვლენების შემდეგ: მეამბოხე ქუთაისში მან, თავის დებთან ერთად, რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო, ამიტომაც სწავლას მიუშვა, დაიწყო „ორიანების“ მიღება. თუმცა ამას მისთვის, ხელი მაინც არ შეუშლია... რათა საკუთარი გენიალურობა სრულად წარმოეჩინა.

* * *

არის ხოლმე, რომ მოზარდი სწავლას ჯეროვნად თავს ვერ ართმევს გარკვეულ მიზეზთა გამო, მაგრამ ისეც ხდება, რომ ვიღაცა შეგნებით ამბობს უარს განათლების მიღებაზე. სწორედ ასეთი ბავშვი ყოფილა... გენიალური **ლევ ტოლსტოი.** მშობლები გრაფს ადრევე გარდაეცვალნენ, სამაგიეროდ მევრი შეძლებული ნათესავი დარჩა, ამიტომაც გაჭირვება არასდროს უგრძნია. მიუხედავად ამისა, სწავლის არანაირი სურვილი მას არ ჰქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დრო დადგა და იგი ყაზანის უნივერსიტეტში შევიდა. იმხანად, მომავალი ნობელიანტი, თავის შორეულ ნათესავთან, გრაფინია პ. იუშკოვასთან ცხოვრობდა, რომლის მთავარი საქმე... უსაქმურად ყოფნა იყო. ამდენად, არ უნდა იყოს დიდად გასაკვირი, რომ პირველკურსელი ლევ ტოლსტოი, ისტორიასა და გერმანულში გამოყოლილი ორიანების გამო, მეორე წელსაც დატოვეს იმავე კურსზე. მეორე კურსზე გაჭირვებით გადასულმა ახალგაზრდა ტოლსტოიმ, მთელ უნივერსიტეტში სახელი გაითქვა როგორც... ვოდევილების მონაწილემ. მოლოს კი მან თავადვე გაიაზრა, რომ სწავლა მისი საქმე არ იყო და თავის მამულს, დღესდღეობით საქვეყნოდ ცნობილ იასნაია პოლიანაში დაბრუნდა და რომანების წერას შეუდგა, რაშიც, როგორც ვიცით, მსოფლიო დონეს მიაღწია, თუმცა კი სიცოცხლის ბოლომდე „უდიპლომო გენიოსად“ დარჩა.

* * *

სწავლა ჭირის დღესავით ეზარებოდა კიდევ ერთ გამოჩენილ პიროვნებას – დიდი ბრიტანეთის მომავალ სახელგანთქმულ პრემიერ-მინისტრს **უინსტონ ჩერჩილს**. ცხრა წლის ასაკში მან გუვერნანტი ქალი აითვალისწუნა, რომელიც გაკვეთილების მეცადინეობას აძალებდა. როცა ბიჭუნა კერძო სკოლაში მიაბარეს, იგი გაკვეთილებიდან იპარებოდა, სხვადასხვა მყუდრო ადგილებში იმალებოდა და გატაცებით კითხულობდა წიგნებს, ძირითადად, სათავგადასავლო ლიტერატურას, თუმცა შიგადაშიგ ძველ ავტორებსაც გაურევდა ხოლმე. მოწიფულ ასაკში კი, უინსტონ ჩერჩილმა, ჰერცოგმა მალბორომ, ლიტერატურაში ნობელის პრემია მიიღო.

* * *

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიაში „რკინის კანცლერად“ წოდებული **ოტო ფონ ბისმარკი.** ბავშვობაში იგი სკოლაში ცუდად სწავლობდა, პირველ სამუშაოზე მოწყობა კი მხოლოდ მშობლების ნაცნობების პროტექციით შეძლო. მიუხედავად ამისა, გერმანიის ისტორიაში ბისმარკი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ხელმძღვანელად დარჩა.

* * *

სკოლაში ცოდნით არც **ნაპოლეონ ბონაპარტი** ბრწყინავდა. მთელი ცხოვრების განმავლობაში, იმპერატორი წერისას უამრავ შეცდომას უშვებდა, თუმცა კი მათემატიკა ჩინებულად იცოდა.

ოთარ ტურაბელიძე

ტექსელის გმირების პატივგება

ნიდერლანდების სამეფოში, კუნძულ ტექსელზე, 1945 წელს, ტექსელის ქართველთა აჯანყების დროს დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფის გახსნის ცერემონია გაიმართა.

მემორიალური დაფის დიზაინის ავტორია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მოქანდაკე-რესტავრატორი, დავით (დევი) ხმალაძე, ხოლო ინიციატივა ეკუთვნის ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელს, თინათინ სვანიძე-ვენკოს. მემორიალური დაფის გახსნა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას დელეგაციის წევრებმა პატივი მიაგეს და მემორიალური მონუმენტი გვირგვინით შეამკეს.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ, ასევე კუნძულ ტექსელის მერმა, მიხილ აუთდენჰაგმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რუსლან აბაშიძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიდერლანდების სამეფოში, დავით სოლომონიამ და სხვ.

„ოქსიგენფესტი“ რუსთავში

რუსთავის ცენტრალური პარკის საფესტივალო სივრცეში „ოქსიგენფესტ 2023-ის“ პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციის ფარგლებში, რუსთავის მერიას, „ოქსიგენის“, წყლის კომპანია „მინერალისა“ და სს „რუსთავის აზოტი – ინდორამას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

„ოქსიგენფესტი“ გახდა ჩვენი ქალაქის ტრადიცია, რომელშიც ვერთიანდებით თითოეული რუსთაველი. დღეს რუსთავის ახალი განვითარების ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე, უანგბადი გვჭირდება ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით უანგბადი სჭირდებათ ახალგაზრდებს. პროექტის, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს განტვირთვის საშუალებას და რომელიც შარშან პირველად გაიმართა რუსთავში, სულისჩამდგმელი არის ლაშა ნოზაძე, რისთვისაც მას განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა ვუერთდებით ამ პროექტს და ველოდებით ,,ოქსიგენფესტს“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, რომელმაც მემორანდუმის ერთ-ერთ ხელმომწერი გახდა.

საფესტივალო სივრცე 1 და 2 ივლისს თევზჭერის მოყვარულებს უმასპინძლებს. ცენტრალურ პარკში მოწყობილი საფესტივალო სივრცე მომდევნო სამი დღით კინომოყვარულებს დაეთმობათ, ფესტივალის მთავარი მუსიკალური ნაწილი კი 7, 8 და 9 ივლისს შედგება.

გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ დანაშაულობანი... დაკავებულია უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ეროვნულ კონტრტერორისტულ სისტემაში ჩართული კომპეტენტური უწყებების მონაწილეობით წარმოებული ოპერაციის შედეგად, გამოვლენილია ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივობები სხვადასხვა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. დაკავებულია უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე, – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა, ბაჩო მგელაძემ უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, **კომპლექსურად წარმოებული კონტრტერორისტული საქმიანობის შედეგად მოპოვებულია მასალები და მტკიცებულებები, რითაც იკვეთება უცხო ქვეყნებში მიმდინარე ტერორისტული დანაშაულობანი.**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს უკომპრომისო ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმთან. საქართველო რჩება საერთაშორისო ერთიანი კონტრტერორისტული სისტემის საიმედო პარტნიორად. ამასთან, ცალსახად გამოვრიცხავთ უცხოურ მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული მიზნებით სამხედრო მომზადებისა და საწვრთნელი ბაზების არსებობის თაობაზე“, – განაცხადა სუს-ის კონტრტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა, ბაჩო მგელაძემ.

ქრისტინე თაკალანძე უნდა განთავისუფლდეს!

სუს-ი – ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სასამართლოს „გადაწყვეტილებას“ წინ უძღოდა აგსურდული გრალდებით ქრისტინე თაკალანძის უკანონოდ დაკავება, კეთდება ყველაფერი, რათა ის ოჯახს დაუბრუნდეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საოკუპაციო რეჟიმის მიერ უკანონოდ დაკავებული ქრისტინე თაკალანძის თაობაზე ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს. „ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სასამართლომ უკანონოდ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეს, ქრისტინე თაკალანძეს 10 წლითა და 6 თვით უკანონო პატიმრობა მიუსაჯა.

აღნიშნულ უკანონო „გადაწყვეტილებას“ წინ უძღოდა გამოგონილი და აბსურდული ბრალდებების საფუძველზე თაკალანძის უკანონოდ დაკავება, რასაც მოჰყვა მრავალთვიანი უკანონო პატიმრობა.

ქრისტინე თაკალანძის მიმართ საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან განხორციელებულ ძალადობრივ და უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთგზის დაადასტურა კონსოლიდირებული პოზიცია და დაგმო დანაშაულებრივი პრაქტიკა, რაც მიზანმიმართულად მკვიდრდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ქრისტინე თაკალანძის უკანონო პატიმრობის პირველივე დღიდან ცენტრალური ხელისუფლება იყენებს ყველა არსებულ მექანიზმს. ასევე აღნიშნული საკითხი ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

ერთობლივი ძალისხმევით კეთდება ყველაფერი, რათა უკანონო პატიმრობაში მყოფი ქრისტინე თაკალანძე დაუბრუნდეს საკუთარ ოჯახს. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ განხორციელებულ ყველა დესტრუქციულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ცენტროლიტის“ განცხადება

2023 წლის 12 ივნისს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ს/ს თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევა.
2. 2021-2022 წლის წლიური ანგარიში.
3. დივიდენდების გაცემა.
4. სხვადასხვა.

საალრიცხვო თარიღად დადგენილია 11 მაისი.

მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. №29

ადმინისტრაცია

ფიროსმანმა ლუიზიანას მუზეუმი დაიპყრო!

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობითა და ლუიზიანას მუზეუმთან თანამშრომლობით დანიაში, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების მასშტაბური გამოფენა საზეიმოდ გაიხსნა.



ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, დანიის სამეფო ტახტის მემკვიდრე ფრედერიკი, დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს ელჩი ნატა მენაბდე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალმედაშვილი, „ინფინიტარტის“ წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე აჩვენეს ფილმი ნიკო ფიროსმანის შემოქმედების შესახებ, რომელიც ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა მოამზადა.

დამთვალიერებელი 20 აგვისტომდე ფიროსმანის 48 ნამუშევარს ნახავს, რომელთაგან 47 ნახატი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდს ეკუთვნის, ხოლო ერთი ნახატი შერჩეულია მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმიდან. დანიის შემდეგ, 2023 წლის 17 სექტემბრიდან 2024 წლის 28 იანვრამდე, გამოფენას შვეიცარია, კერძოდ, ბეილერის ფონდი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი და ისტორიული შემთხვევა, როდესაც ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ მუზეუმში ფიროსმანის შემოქმედება ასე მასშტაბურად იქნება წარმოდგენილი.

ინფორმაციისთვის: ლუიზიანას მუზეუმი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საგამოფენო სივრცეა, რომელსაც დიდი და მრავალფეროვანი აუდიტორია ჰყავს. აქ თავმოყრილია ხელოვნების არაერთი ცნობილი და ძვირფასი ნიმუში. ლუიზიანას მუზეუმის კოლექცია 4000-მდე ექსპონატს ითვლის და, 1945 წლიდან მოყოლებული, ამ პერიოდის თითქმის ყველა ჟანრის მხატვრობისა და ქანდაკების ნიმუშებს აერთიანებს. მუზეუმში დაცულია მარიო მერსის, სოლ ლევიტის, გერჰარდ რიხტერის, როი ლიხტენშტაინის, ენდი უორჰოლის, რობერტ რაუსჩენბერგის, ალბერტო ჯაკომეტისა და სხვათა ნამუშევრები.

ნინო ხარატიშვილის მორიგი წარმატება

ცნობილ ქართველ მწერალს ნინო ხარატიშვილს სოლიდური ფულადი ჯილდო გადაეცა.

ნინო გერმანელი შემოქმედის, თავისუფალი მწერლის, ჯისელა ელსნერის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა. (ელსნერმა სიცოცხლე 1992 წელს თვითმკვლელობით დაასრულა). ნიურნბერგის ლიტერატურულმა სახლმა დაჯილდოების ცერემონიალს უმასპინძლა და ელსნერის პრემია – 10 000 ევრო უკვე მეორედ გასცა.

„ავტორი საკუთარ შემოქმედებაში წარმატებით ახერხებს არა მარტო საქართველოს ისტორიის ევროპის ისტორიის ნაწილად წარმოჩენას, არამედ ასევე ქართული ლიტერატურისა და კულტურის ევროპული ხასიათის ჩვენებას. ესაა ცალკეული პიროვნებების ბედისწერისა და ისტორიული გარემოებების კომბინაცია, რაც უკრაინაში მიმდინარე ომისა და იქ გამოვლენილი აგრესიის ფონზე, ხარატიშვილის ტექსტებს მეტ აქტუალობას სძენს. ამას ძნელად თუ ახერხებს სხვა რომელიმე შემოქმედი,“ – ასე აფასებს კონკურსის ჟიური ნინო ხარატიშვილს. ყოჩაღ ნინო! წარმატებებს გისურვებთ!

მაჩაბლის სამკითხველო დარბაზი მკითხველს ისევ უმასპინძლებს

დიდი ხანია მაჩაბლის სამკითხველო დარბაზის კარი დახურულია. იგი წლების განმავლობაში ითვლებოდა განსაკუთრებულ თავშეყრის ადგილად სტუდენტებისა და ახალგაზრდებისთვის.

ახლა მოლაპარაკებები დასრულებულია და დარბაზის სრული რეაბილიტაცია სულ მალე დაიწყება.

„ოცნება, რომელიც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში მუშაობის დაწყებისას მქონდა – რესტავრაცია, მოდერნიზაცია და გახსნა – ასრულებას იწყებს. ივანე მაჩაბლის ჯადოსნური დარბაზის სრულ რეაბილიტაციას სამშენებლო კომპანია „ანაგი“განახორციელებს“, – გვიზიარებს თავის სიხარულს გიორგი კეკელიძე.

როგორც ის ამბობს, გამაგრებითი სამუშაოები სახელმწიფოს დახმარებით ჩატარდება. ირაკლი გოგოლიშვილი, “ანაგის“ გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ ეს არის ეროვნული ბიბლიოთეკის ლეგენდარული სამკითხველო დარბაზი, რომელიც ათწლეულებია დაკეტილი იყო და მისი რესტავრაცია არასდროს მომხდარა.

„ანაგისთვის“ ამ დარბაზის რესტავრაციის პროცესის წარმართვა ერთდროულად მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და ამავდროულად დიდი პატივია. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა (ფუნქციურად დატვირთული იქნება) მართლაც ისტორიული მოვლენა იქნება. მაჩაბლის დარბაზი სამკითხველო სივრცეა, სადაც წიგნებზე ღია წვდომა იქნება.

რუსუდან ძოგულია

მეფისა და დედოფლის ახალი ფოტოები

გუკინგემის სასახლემ ჩარლზ მესამის კორონაციამდე რამდენიმე დღით ადრე მეფისა და დედოფალი კამილას ახალი პორტრეტები გამოაქვეყნა.

სამი სურათი ფოტოგრაფმა ჰიუგო გურნანმა გუკინგემის სასახლეში აპრილში გადაიღო. სწორედ გურნანმა გადაიღო ჩარლზისა და კამილას და პრინცი უილიამისა და კეიტ მიდლტონის ქორწილების ოფიციალური ფოტოები.

შენდება პრინტერზე დაბეჭდილი მეჩეთი

დუბაის ხელისუფლება მსოფლიოში პირველ მეჩეთს ააშენებს, რომელიც 3D-პრინტერზე დაიბეჭდება ნაგებობა 600 ადამიანზე იქნება გათვლილი და 2 სართულზე, 2 ათასი კვადრატული მეტრის ფართობზე განთავსდება. მეჩეთს ბეტონის ხსნარისგან ააშენებენ. მშენებლობის დაწყება წლის ბოლოს იგეგმება, პროექტი კი 2025 წლის პირველ კვარტალში უნდა დასრულდეს.

3D-ბეჭდვის დახმარებით შენობების მშენებლობისთვის დიდი ბეჭდვითი მანქანებია საჭირო, რომლებშიც პროექტის შესახებ სრული ინფორმაციაა ატვირთული. კონსტრუქცია ფენებად აიწყობა.

ჯანმო კოვიდი ისტორიას მიაბარა...

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ „კოვიდ 19“-თან დაკავშირებით გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა.

„საგანგებო სიტუაციების კომიტეტი მეთხუთმეტედ შეიკრიბა და რეკომენდაცია გამიწია, გამომეცხადებინა საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობის დასრულება. მე მივიღე ეს რჩევა. ამიტომ „კოვიდ-19“-თან დაკავშირებულ გლობალური ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობას დასრულებულად ვაცხადებ“, – განაცხადა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ტედროს ადანომ გებრეისუსმა.

ამასთან ერთად გაეროს ჯანდაცვის სააგენტო ამბობს, რომ ყოველკვირეულად ათასობით ადამიანი კვლავ იღუპება ვირუსისგან.

„ეს არ ნიშნავს, რომ „კოვიდ-19“ დასრულდა, როგორც ჯანმრთელობის გლობალური საფრთხე“, – თქვა ტედროს ადანომ გებრეისუსმა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, პანდემიით, სულ მცირე, შვიდი მილიონი ადამიანი დაიღუპა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4834; ევრო - 2.7377;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1321;
100 რუბლი - 3.2233; თურქული ლირა - 0.1294;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4608;
1000 სომხური დრამი - 6.4237

ამინდი 8 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +18
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +15
თბილისი: ღამე +13, დღე +21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge